

140
1984/2

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ԶԻՅԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ



ՀՈՒՆՎԱԴՐ

ISSN 0182 — 5973

4
1984



გომნაზიის უკანასკნელმა, მერვე წელმა, ანდა როგორც იტყვიან ხოლმე, 1886-87 სასწავლო წელმა ვალოდია ულიანოვს მეორე და საშინელი სულიერი დარტყმა მოუტანა. სწორედ გაზაფხულის პირზე, როცა გამოცდებისათვის სამზადისს უნდა შესდგომოდა, ალექსანდრე ილიას ძის დაპატიმრების ცნობა მოვიდა. ილია ნიკოლოზის ძის გარდაცვალების შემდეგ ულიანოვების ოჯახის მდგომარეობა საკმაოდ შეირყა. ჯერ ერთი, ვაცილებით გაძნელდა ცხოვრება: პენსია, რაც არ უნდა იყოს, მაინც ხელფასი არ არის, და, ცხადია, არც ქვრივი ქალის შვილების მდგომარეობა შეიძლება შეედაროს ქალაქში ცნობილი, მაღალი თანამდებობის პირის შვილების მდგომარეობას. ახლა პასუხისმგებლობა! უფროსები ასე თუ ისე მოწყობილები არიან, ვალოდია კი ახლა ამთავრებს გომნაზიას, მომდევნო ოლდაა, შემდეგ — კიდევ ორი პატარა. ახლა მარტო საკუთარ თავზე და მომავალზე ფიქრი არ უშველიდა საქმეს.

გომნაზიის უკანასკნელმა, მერვე წელმა, ანდა როგორც იტყვიან ხოლმე, 1886-87 სასწავლო წელმა ვალოდია ულიანოვს მეორე და საშინელი სულიერი დარტყმა მოუტანა. სწორედ გაზაფხულის პირზე, როცა გამოცდებისათვის სამზადისს უნდა შესდგომოდა, ალექსანდრე ილიას ძის დაპატიმრების ცნობა მოვიდა. ილია ნიკოლოზის ძის გარდაცვალების შემდეგ ულიანოვების ოჯახის მდგომარეობა საკმაოდ შეირყა. ჯერ ერთი, ვაცილებით გაძნელდა ცხოვრება: პენსია, რაც არ უნდა იყოს, მაინც ხელფასი არ არის, და, ცხადია, არც ქვრივი ქალის შვილების მდგომარეობა შეიძლება შეედაროს ქალაქში ცნობილი, მაღალი თანამდებობის პირის შვილების მდგომარეობას. ახლა პასუხისმგებლობა! უფროსები ასე თუ ისე მოწყობილები არიან, ვალოდია კი ახლა ამთავრებს გომნაზიას, მომდევნო ოლდაა, შემდეგ — კიდევ ორი პატარა. ახლა მარტო საკუთარ თავზე და მომავალზე ფიქრი არ უშველიდა საქმეს.

დადგა თოვლიანი, ქარბუქიანი სიმბირსკული თებერვალი, უკვე დაიწყო გამოცდისწინა ციებ-ცხელება, საჭირო წიგნებისა და სახელმძღვანელოების ძებნა, კარამზინის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩაწერა. ვალოდია ულიანოვი იმ ზამთარს ბევრს კითხულობდა. მოწაფეც ჰყავდა აყვანილი. ის მზად იყო, თუნდაც ახლა ჩაებარებინა გამოცდები. მისი და, ოლდაც საუკეთესო მოსწავლე იყო, მაგრამ ძმის დაპატიმრების ამბავი მეხად დაატყდა და-ძმას. მარია ალექსანდრეს ასული სასწრაფოდ მოემზადა და პეტერბურგს გაემგზავრა. ბედად, ძიძა ვარვარა გრიგოლის ასული, რომელიც ძალიან მიჩვეული იყო ოჯახს, განსაკუთრებით კი მის გაზრდილ ვალოდიას, შინ არ იყო, სტუმრად იყო წასული თავის სამშობლოში — პენზის გუბერნიაში.

მარტო დარჩენილმა ბავშვებმა, როგორღაც ერთბაშად იგრძნეს თავი დიდებულად, დადინჯდნენ. რაღაც არ უნდა დაჯდომოდნენ, უნდა გამაგრებულიყვნენ, რომ უმცროსებისთვის დაემაღლათ ახალი უბედურების ამბავი.

მარტო დარჩენილმა ბავშვებმა, როგორღაც ერთბაშად იგრძნეს თავი დიდებულად, დადინჯდნენ. რაღაც არ უნდა დაჯდომოდნენ, უნდა გამაგრებულიყვნენ, რომ უმცროსებისთვის დაემაღლათ ახალი უბედურების ამბავი. ულიანოვების სახლს მოსკოვის ქუჩაზე სულ ცოტა ხნის წინათ შუროთ შესცქეროდნენ ნაცნობები. შუროთ მარია ალექსანდრეს ასულის გამრჩე დიასახლისობა, მისი შვილების ზრდილობა, მუყაითი სწავლა; ისიც, რომ ამ სახლში არაფერი იყო მოჩვენებითი, ერთი სიტყვით, ისეთი, რაზეც შეეძლოთ ეჭორავათ და ავყიანობით გული ეჭერებინათ.

ოლდა — ამაცი, ნათელი, მიმზიდველი სახის გოგონა, უფროს ძმასავით დიდი, უძირო შავი თვალებით, თავის სადღესასწაულო წინსაფარში გამოწყობილი ისე დადიოდა გამოცდებზე, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ქალაქში კი ძალაში შედიოდა გაზაფხული, და გაზაფხულთან ერთად მოდიოდა საშინელი ცნობები პეტერბურგიდან. დაპატიმრებული ძმის, საშას მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო. მას ბრალად ედებოდა მეფეზე თავდასხმა. ულიანოვების ოჯახში ბავშვებმაც კი იცოდნენ, რას ნიშნავდა ეს. ყველას ახსოვდა 1881 წლის მარტი და პირველმარტელთა სიკვდილით დასჯა. მაგრამ საშა ისე მახლობელი, ისე ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე იყო! ზევით, ჩარდახში, მის ოთახში ეწყო მისი თითების შეხებისაგან თითქოს ჯერ ისევ თბილი სინჯარები, პატრონის მოლოდინში კაუჭზე ეკიდა სუფთა პირსახოცი; იქვე იყო წიგნების თარო, საიდანაც ვალოდია ხშირად იღებდა საშას „დრეპერს“; სასადილოში პუტის ახლაც საშას ხელით გამოთლილ ხის ლანგარზე აწყობდნენ — ეს ლანგარი, რომლის შუაგულში ამოჭრილი იყო სიტყვა პური, საშამ დედას აჩუქა. ძნელი იყო მისი პატიმრად წარმოდგენა. ვალო-

დიამ იცოდა, რომ შეიძლებოდა მისი საქმე ძალიან ცუდად დასრულდებოდა. პატარა მანიაშა ლამაზობით ხშირად ტირილით იღვიძებდა და დედას უხმობდა. მაგრამ უნდა გაგეძლო, მოგეთმინა, ქუჩაში თავაწეულს გეველო, შეკითხვებზე მშვიდად გეპასუხა, არ აყოლოდი გადაკრულად ნათქვამს — და ოლდამ და ვალოდია თითქოს პირი შეკრეს, თითქოს ამაში ყოფილიყოს მათი ოჯახის მთელი ღირსება — ორივენი აკვირვებდნენ თანაკლასელებს გასაოცარი თავდაპერილობით და სიმშვიდით.

გამოცდების საქმე შესანიშნავად მიდიოდა. მისი იდგა, ქალაქში ცაცხვის ყვავილის გამაბრუებელი სურნელემა ტრიალებდა, მამის საფლავზე ნეკერჩხალი აყვავდა, კარამზინის სახელობის ბაღში იასამანს კვირტები დასკდომამზე ჰქონდა.

ისევე, როგორც წინა წლებში, გომნაზიაში მიმავალი ვალოდია ულიანოვი ახლაც ბავშვურად ტუჩებდაბერილი, სერიოზული, ოდნავ მოღუშული მიუყვებოდა მოსკოვის ქუჩას. აი, ჩაუარა სათვალთვალ კოშკს, სრულიად ახლებურად დააცქერდა ხაპატიმროს გისოსებიან სარკმელს, სარკმელთან მომდგარი პატიმრების გაცრეცილ სახეებს, ჩაუარა გერმანელთა კირხეს, სოვდაგარ შესტერიკოვის საკარეტო სახელოსნოს, მერე ერთი, ორი, სამი ამხანაგის სახლს. მისის ნაზ, გაზაფხულის სურნელებით განელეხულ ჰაერში ქალაქის თავზე რვაჯერ დარეკა სიმბირსკისათვის მოხუც გრაფ ორლოვ-დავიდოვის ნაჩუქარმა ცნობილმა საათმა, სწორედ ამ დროს ჩაივლიდა ხოლმე ვალოდია გრაფ ტოლსტოის სახლის წინ და მისი თანაკლასელი პეტია ტოლსტოი ყოველთვის დაემგზავრებოდა ხოლმე. მაგრამ ახლა პეტია არ ჩანდა, ხოლო მეორე თანაკლასელი ვალოდიას დანახვაზე სასწრაფოდ მოეფარა მონასტრის გალავანს.

გომნაზიის სააქტო დარბაზში დღეს მეტად ძნელი გამოცდა იყო — ისტორიაში. ისტორიის მასწავლებელი შარიანი კაცი იყო და საგამოცდო ბილეთებიც უხიკად შეადგინა. ბევრ

მის შეკითხვას, მაგალითად, კარლ
IV-ის შესახებ, ვერაფრით ვერ გას-
ცემდი პასუხს მარტო ილოვასის
წიგნის მიხედვით, უნდა გხსომეო-
და მასწავლებლის ნაამბობი ამ სა-
კითხზე ანდა თვითონ გემტვრია თავი
და გეძებნა ლექსიკონებსა და დამხ-
მარე ლიტერატურაში.


ბევრ თანაკლასელს ერთი სული
ჰქონდა შეკითხოდა ვალოდიას, ო-
მელმაც ყოველთვის ყველაფერი
იცოდა, მაგრამ ამჯერად გაჩუმდა
არჩიეს, არაფერი ჰკითხეს. ეს კი
ვალოდია გრძნობდა მათს მცოცავი
მწერის შეხებასავით უსიამო. დაე-
ნებულ მზერას.

იგი შევიდა დარბაზში, წიგნებს
ზონარი შემოხსნა, როგორც ყოველ-
თვის, თითზე დაიხვია. დაჯდა.

ვიდრე ვალოდია გრძნობდა ამბა-
ნაგების ფარულ მზერას, მეორე ქა-
ლთა გიმნაზიაში, ფრანგული ენის
გამოცდაზე, მიტკალივით გაფითრე-
ბული ოღლა, მტკიცე, მკაფიო ხმით
იძლეოდა პასუხს შეკითხვებზე. გო-
გონები, ოღლას თანაკლასელები,
რომლებიც, მართალია, ბიჭებზე
უფრო ცნობისმოყვარენი იყვნენ,
მაგრამ ამავე დროს უფრო გულკე-
თილებიც, ახლა ცდილობდნენ ფა-
რულად, თანაგრძნობით მოეჭირათ
ხელი ამ ცივი, ფერდაკარგული, ერ-
თბაშად მათზე თითქმის მთელი თა-
ვით გაზრდილი, ასე უცბად მთელი
კლასისათვის უცხოდ ქცეული გო-
გონას ხელისთვის.

ულიანოვზე წინ საგამოცდო მაგი-
დასთან ტოლსტოი მივიდა. ხელის
კანკალით აიღო ბილეთი. პასუხი სა-
შუალო იყო, სამიანზე.

...ვალოდია ულიანოვს შესანიშ-
ნავი ბილეთი შეხვდა. ბედის უცნა-



ური ახირებით უხიაკ ისტორიკოსს
ერთი ისეთი ბილეთი შეედგინა, რო-
მელშიც თითქოს განზრახ, თავი მოე-
ყარა მთელი მსოფლიო ისტორიის
კლასობრივი ბრძოლებისა და რევო-
ლუციების საკვანძო წერტილებს.
პირველი საკითხი ეხებოდა თავიან-
თი უფლებებისათვის რომის ამაყი
პატრიციების წინააღმდეგ ამხედრე-
ბულ და მთაში გახიზნულ პლებეებს.
ამ ბილეთში აღმოჩნდა კარლ მეოთ-
ხეც, ასეთ შიშის ზარს რომ სცემდა
მთელ კლასს. ულიანოვმა იცოდა,
რომ ის უბრალოდ გამოცდას კი არ
აბარებდა, არამედ ამ შუბლშეკრუ-
ლი, მტრულად მზირალი საბჭოს
წევრების წინაშე, მისი ამხანაგების
ცნობისმოყვარე, შეშინებული თვა-
ლების წინაშე, მთელი ძველი მთვ-
ლემარე სათავადაზნაურო ქალაქ სიმ-
ბირსკის წინაშე აბარებდა გამოცდას
თავისი მომავალი ცხოვრების უფ-
ლებაზე, განათლების, უნივერსიტე-
ტში შესვლის უფლებაზე. გუშინ იგი
ისეთივე იყო, როგორც ყველა მისი
თანაკლასელი — ახლა კი ჩამოხრ-
ჩობილის ძმაა. მარტოდმარტო, საე-
რთო წრიდან ჰირიანივით გამორი-
ყული. მან ახლა პირველად, მწვა-
ვედ იგრძნო რამდენად რეალურია
ეს წრე და ეს საზღვრები. მისი ძმა
სწორედ ამ საზღვრების მოსპობის

და აღამიანთა თანასწორობისათვის
იბრძოდა. და განა მარტო ის! ვა-
ლოდიამ ისევ გადაიკითხა აღებუ-
ლი ბილეთი — პლებეების ბრძო-
ლა პატრიციებთან, რეფორმაცია,
ბოგდან ხმელნიცი — ე. ი. მარ-
ტო მისი ძმა არა! მსოფლიოს
მთელი ისტორია სავსეა ბრძოლე-
ბით. მაგრამ არა ასე განცალკევე-
ბულად, არა ასეთი გზით. ვლადი-
მერ ულიანოვმა დაიწყო ბილეთზე
პასუხის გაცემა. ის ლაპარაკობდა
ოდნავ ბავშვური ხმით, გარკვევით,
ღრმად, მშვიდად; მასწავლებელი,
მექანიკურად რომ ჩხაპნიდა რადა-
ცას ფურცელზე, თავს უქნევდა; გა-
მომცდელებმა ერთმანეთს გადახე-
დეს — მოსწავლე იმდენად ბრწყინ-
ვალედ პასუხობს, რომ ვერაფერში
ვერ შეედავები. გიმნაზიის მოხუცი
დირექტორი კერენსკი, რომლის შვი-
ლსაც, მომავალ აღექსანდრე თეე-
დორეს ძეს იმ დროს ამავე გიმნაზიის
პირველ კლასში შესასვლელად ამზა-
დებდნენ, თავის გუნებაში მოწონე-
ნის ნიშნად თავს უქნევდა ულია-
ნოვს: მართალია, ძალიან საფრთხი-
ლოა, მაგრამ რას იზამ — ოქროს
მედალი სწორედ ამას უნდა მიაკუთ-
ვნო, არაფრით არ შეიძლება არ მის-
ცე, რადგან ულიანოვი მთელი თა-
ვით მაღლა დგას კლასზე.

17736

საქართველოს აკადემიის და
პ. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა მკვლევართა
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი

პიონერი

4 აპრილი 1984

საქ. კა. სა-ის. ბავშვთა

მარტოს ს. ს. ს. ს. ს.



**გოსწავლის
მთავარი გვირობა
უჩინადა სწავლა**

ამ ადგილს დღესაც პლატონას დუქანს ეძახიან, თუმცა აღარც პლატონაა სადმე და არც მისი დუქანი. ასცდები ნადუქნარს, დაფერდებულ ქუჩას აპყვები და მწკრივად ჩამდგარ ორიოდ საცხოვრებელ კორპუსს მიღმა სკოლასაც დაინახავ.

ჯერ 20 წელიც არ შესრულებია ამ საშუალო სკოლას, მუშაობის გამოცდილება და სათქმელი კი დიდი დაგროვებია უკვე.

ჩვენ გადავწყვიტეთ, მხოლოდ ერთ დიდ სიკეთეზე ვთქვათ, იმაზე ვთქვათ, რითაც ყველაზე უკეთ დაინახება სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობისადმი, და საერთოდ, სწავლისადმი მოსწავლეთა დამოკიდებულება.

„გაკვეთილი მოსწავლის მიერ



მოწინავე სკოლად ითვლება, რომელმაც რაიონის სკოლებს შორის მოსწავლეთა მაღალი აკადემიური

მიზეზი უბრალოა, თავად პედაგოგებიც ძალიან აქტიურობენ. მარტივი სტატისტიკა ავიღოთ: სკოლის 76

**ინიო
ხარაზიშვილი**

ოლეგ გველმინანის ფოტო

ლონა ჰუჯარისა და ვაგაიშაიშვილი

სამყაროს აღქმის პროცესის უმთავრესი ორგანიზაციული ფორმაა“ — ამბობდა ცნობილი საბჭოთა პედაგოგი ვ. სუხომლინსკი.

მოსწავლის მუშაობა საგნობრივ წრეში კი გაკვეთილზე გაგებულისა და აღქმულის გაღრმავებაა, წიგნიდან ნასწავლის პრაქტიკულ-ლაბორატორიული კვლევით ხელახლა მიგნებაა, ბუნებასა და მეცნიერებაში არსებული უამრავი კანონის ხელახალი აღმოჩენაა, აღმოჩენა არა ბუნებისა და მეცნიერებისათვის, არამედ საკუთარი თავისათვის, საკუთარი ცნობიერებისათვის... თითოეული ასეთი „აღმოჩენა“ საკუთარი შესაძლებლობებისადმი რწმენით განაწყობს, აძლიერებს მოზარდს.

და ალბათ გატაცების მოწოდებად ქცევაც ასეთ დროს იწყება, მეცნიერების დაჟჟყრობელ მწვერვალთა დაპყრობის სურვილიც, რაც მომავალში სშირად ძალიან ბევრს აკეთებინებს მოზარდს.

თბილისის ლენინის რაიონში 132-ე საშუალო სკოლა, ერთ-ერთ

მოსწავლისათვის გაშლილ სოცმე-ჯობრებაში გასული წლის მაჩვენებელთა მინდევით მეორე ადგილი მოიპოვა.

სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ბოლო წლებში განსაკუთრებით ბევრს აკეთებს საგნობრივ წრეთა ქსელის გაფართოებისა და გაძლიერებისათვის. მათი კარგი მუშაობისათვის შექმნილია ყველა პირობა: პირველი — მეორე ცვლების შუალედ დროში მთლიანად მათ განკარგულებაშია შესანიშნავად მოწყობილი კლას-კაბინეტები (სკოლაში ამ ბოლო წლებში დაინერგა კაბინეტური სისტემა), ხელსაწყო-იარაღებით მდიდარი ლაბორატორიები.

20-მდე საგნობრივი წრეა ჩართული სკოლის სასწავლო-შემოქმედებით მუშაობაში. შეიძლება ითქვას, რომ თითოეულ საგნობრივ კაბინეტში რამდენიმე წრე მუშაობს. ამის

მასწავლებლიდან უმეტესობა თვითონ უდგას სათავეში თავის კლასებში წარმოებულ წრეობრივ მუშაობას. ასე რომ, სკოლაში ისტორიის ან ქიმიის, ფიზიკის ან ქართული ლიტერატურის რამდენიმე წრის არსებობაც არავის აკვირვებს. ასე უფრო მოსახერხებელია, და მასწავლებელსაც მეტი საშუალება აქვს თავისი კლასების მოსწავლეებთან სისტემატური და შემოქმედებითი კლასგარეშე მუშაობისათვის.

უთუოდ შეიძლება საინტერესო მუშაობის გარკვეული პრეტენზია პქონდეს 132-ე სკოლელთა ფოლკლორის წრეს (ხელმძღვანელი ნატო ნასიძე), რომელმაც არსებობის მოკლე ხნის მანძილზეც უსაზღვროდ შეაყვარა ნორჩებს ხალხური ზეპირსიტყვიერება. ბავშვები შესანიშნავად იცნობენ ქართულ საზღაპრო ფოლკლორს. უფრო უმცროსები სა-

ყვარელი ზღაპრების პერსონაჟთა დასახელებას ერთმანეთს ასწრებენ. არც გამოცანების, ანდაზების, იგავ-არაკებისა და შარადების მოძიებასა და ცოდნაში ჰყავთ ბადალი. წრეში მუშაობის წყალობით ქართულ ხალხურ პოეზიასა და სიმღერაზე, საქართველოს წარსულსა და დღევანდლობაზე ბევრი საინტერესო რამ შეიტყვეს მეხუთეკლასელებმა: მაკა ყუბუსიძემ, ხათუნა ლუარსაბოვმა, მალხაზ მაისაშვილმა, ეკა ბექურმა, ირმა კონჯარიამ, ხათუნა კობახიძემ, გიორგი წერეთელმა, ნონა არჩვაძემ და სხვებმა.

თითოეულ მათგანს ძალიან უყვარს თავისი მშობლიური სოფელი, იქ მცხოვრები პაპა და ბებო და კიდევ, მათთვის ყველაზე საინტერესო ადამიანები — მთქმელები ხალხური შემოქმედების თავყანისმცემელი ბრძენი მოხუცები. მათთან ყოველი შეხვედრა ზეიშია ბავშვებისათვის, საზაფხულო დავალების შესასრულებლად მოხერხებულ დროს დაიგულებენ, მიდიან მათთან და მათ გაგონილსა და ნათქვამს იწერენ. მერე... თქვენ ის უნდა ნახოთ, რა მდიდარი მასალით უბრუნდებიან სასექტემბროდ სკოლას.

წლევიანდელი ზაფხულის მონაპოვრიდან არაერთი ნორჩი ფოლკლორისტის მოძიებული საინტერესო მასალის დასახელება შეიძლება იყოს. თუნდაც მეხუთეკლასელი ბადრი ორთოიძის მოტანილი ქართული ხალხური გამოცანები, რომლებიც მან თავის სოფელში — ბორჯომის რაიონის სოფელ სავანისუბანში შიო პაპასგან ჩაიწერა.

საკმაოდ მდიდარი ფოლკლორული მასალა ჩამოუტანია დედულეთიდან — ამბროლაურის რაიონის სოფელ ბეთლემიდან ნინო მუკბალიანს — 95 წლის ადგილობრივი ხალხური მთქმელის, პავლე ბაბუას ლექსები. სოფლისა და მისი მიმდებარე მიდამოების სახელწოდებათა შესახებ შემორჩენილი ლეგენდები წერილად გამოუკითხავს მოხუცისათვის ნინოს. ახლა დგას და ამხანა-

გებს უყვება, მასწავლებლის შეკითხვებზეც ყოჩაღად იძლევა პასუხს. ეტყობა, თავადაც საკმაოდ ემოციური დამოკიდებულება აქვს თავისი მონათხრობისადმი. განსაკუთრებით ერთი მოსწონს, ბეთლემისპირა დიდი, ლამაზი ველის, ნატბეურას მონათვლის მართლაც და ლამაზი ლეგენდა.

ვეცნობით ნორჩ ფოლკლორისტთა მიერ შედგენილი ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს და ბავშვების შთაბეჭდილებების შემცველ ალბომებს. უძველესი ქართული ხალხური სიტყვის მადლითა და სურნელებით სუნთქავს მათი თითოეული ფურცელი...

წრის ყოველი თავყრილობისათვის გულმოდგინედ ემზადებიან ნორჩი ფოლკლორისტები და მათი ნატო მასწავლებელი. ამა თუ იმ განსახილველი თემისათვის საჭირო ექსპონატებს ყველანი ცალ-ცალკე მონდომებით მოიძიებენ, საინტერესო მასალას ბევრგან პოულობენ — სახლში, მეგობრებთან, ნათესავებთან, სოფელში სტუმრობის დროს. ყოველი ახალი ხალხური სიმღერის „აღმოჩენის“ შემდეგ სკოლაში სათუთად მოაქვთ ქართველ მომღერალთა შესრულებით მოსმენილი ამ სიმღერების ფირფიტები, ერთად უსმენენ — მათი ხასიათისა და კილოს უკეთ გაგებას ცდილობენ.

ნორჩი ფოლკლორისტების შემდეგ ნორჩ გეოგრაფებს ვეწვიეთ. თვალს აქაც გემოვნებით მოწყობილი კაბინეტი შემოეგება. სწორედ რომ მშვენიერ განწყობილებაზე მყოფებს შემოვუსწარით წრის წევრებს. პირველი სიტყვითვე გვახარეს თავიანთი მეგობრების წარმატების ამბავი. მოსწავლეთა სასწავლო შემოქმედებით რაიონულ კონფერენციაზე გამარჯვება მოუპოვებიათ წრის წევრების — მერვეკლასელის ნანა ჩაგუნავასა და მეათეკლასელების — მაია ქურციკიძის, დალი ვალიშვილისა და მაია ტორიკაშვილის ნამუშევრებს.

წლევიანდელ რაიონულ კონფერენციაზე

თბილისი უმაღლესი საინჟინერო ალბათ ცდის დამოუკიდებლად ჩატარება.

ნციაზე გამარჯვებული მოსწავლეები სკოლას კიდევ მრავლად მოუტანდნენ, მეათეკლასელები — ზვიად ჭელიძე და მანანა სარიშვილი — გერმანული ენის წრის წევრები, მაგრამ განსაკუთრებით მაინც ნორჩმა ქიმიკოსებმა ასახელებს სკოლა, წლევიანდელ რაიონულ კონფერენციაზე წარგზავნილი რვავე ნორჩი ქიმიკოსის ნაშრომს სხვადასხვა სახის ჯილდო მიენიჭა, მათ შორის ორმა კი მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი რესპუბლიკური კონფერენციის საგზურიც მოიპოვა.

ერთ-ერთი ამ ნაშრომის ავტორს, მეცხრეკლასელ კახა კურდღელაშვილს, დღეისათვის საკმაოდ მწვავე, წყლის გაჭუჭყიანების პრობლემების შესწავლა უქცევია თავის სამუშაო თემად. მშობლიურ სოფელში სტუმრობისას დამოუკიდებლად აუღია მდინარის წყლის სინჯები, მისი ქიმიური შემადგენლობაც ასევე დამოუკიდებლად შეუსწავლია. კახას ქიმიის მასწავლებლისა და წრის ხელმძღვანელის ე. ზუმბულიძის აზრით, იგი პრობლემის გადაჭრის საკმაოდ ახალ და საინტერესო გზას გვთავაზობს.

მოსწავლეთა წლევიანდელ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე, კახასთან ერთად, თავისი ნაშრომით უნდა წარსდგეს მეცხრეკლასელი ხათუნა ბორჩაშვილი, რომელმაც ასევე წარმატებით სუფრის მარილის მაგალითზე დაამუშავა ელექტროლიტის ხსნარებში იონების დისოციაციის საკითხი. ეს ნაშრომიც მოსწა-



ვლის მიერ ჩატარებული კვლევის სიღრმითა და ღმრთოვანობით იქცევეს ყურადღებას.

არანაკლები წარმატება ხვდა წილად მეცხრეკლასელ ზაზა ბოკერიას ნაშრომს, რომელშიც ატომის აღნაგობა ელექტრონული თეორიის თვალსაზრისით იყო შესწავლილი. ნაშრომმა გასული წლის მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი რესპუბლიკური კონფერენციის უმაღლესი ფილდო — პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.

ქიმიკში სერიოზულად მომუშავე მოსწავლეებიდან კიდევ ბევრის დასახელება შეიძლება. ამ განცხადების საბუთად გამოდგება ისიც, რომ 132-ე სკოლელ ნორჩ ქიმიკოსთა დიდი ნაწილი თბილისის ლენინის რაიონის პიონერთა სახლის ნორჩ ქიმიკოსთა წრის აქტივისტიცაა. მათგან ზოგიერთს ჩამოვთვლით, ესენი არიან: მარინე იაკობაშვილი, ეკა ნაზლაძე, მაკა მომცემლიძე, ნათია გოცირიძე, გურამ მკერვალიძე და სხვ.

რახან საუბარი სწავლითა და საკუთარ თავზე მუშაობით გამორჩეულ მოსწავლეებზე ჩამოვადეთ, ორიოდე სიტყვა შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ მოზარდებზეც ვთქვათ, იმათზე, ვისი ნამუშევრების პერსონალურ გამოფენებსაც არცთუ იშვიათად, დიდი იმედით აწყობს მათი მშობლიური სკოლა.

თბილისის 132-ე საშუალო სკოლის მერვეკლასელის, ნორჩი მხატვრის ხათუნა გუგეშაშვილის ფერ-

წერულ ნამუშევრებს თბილისის ბავშვთა ხელოვნების მუზეუმის ექსპოზიციებზეც ხშირად ნახავთ. გასულ წელს ხათუნას პერსონალური გამოფენა მის მშობლიურ სკოლაშიც მოეწყო. სწორედ მაშინ იყო, გოგონას ნახატებით რომ დაინტერესდნენ პიონერთა რაიონული სახლის მხატვარ-პედაგოგებიც.

ხათუნას კლასში კიდევ ერთი ნორჩი მხატვარია — ზურაბ წიკლაური, მუდამ საკუთარ თავში ჩადრმავებული, კაფანდარა ბიჭი. ზურაბი საშუალო სკოლის პარალელურად სამხატვრო ათწლედშიც სწავლობს და საკმაოდ დიდი წარმატებითაც. ამაში ამ ცოტა ხნის წინ დარწმუნდნენ მისი თანასკოლელები, როცა სკოლაში მოწყობილი კიდევ ერთი ექსპოზიცია — ზურაბ წიკლაურის პერსონალური გამოფენა ნახეს.

132-ე სკოლელებს კიდევ ერთი საყვარელი თანასკოლელი მხატვარი ჰყავთ — მეცხრეკლასელი იოსებ ჯინჭარაძე, ხელოვნებაზე უზომოდ შეყვარებული, საკუთარ თავზე ინტენსიურად მომუშავე ბიჭი.

შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ ბავშვთა სიმრავლე ამ სკოლის ერთი დიდი სიკეთეა. ნორჩ მხატვრებზე სომ უკვე მოგახსენეთ, ნორჩი პოეზიის მოყვარულებითაც თავს იწონებენ. აქ ისიც უნდა ნახოთ, რა მხიარულ კონცერტებს სთავაზობენ თანატოლებს სკოლასთან არსებული მუსიკალური სტუდიის აღსაზრდელები; ახლა ქორეოგრაფიული წრის (ხელმძღვანელი გ. ფავლენი-

შვილი) მოცეკვავეთა ცენტროვან ცეკვებს არ იკითხავთ, მისწავლეთა სიმღერის ცენტროვან ლმძღვანელი ი. ბერიძე) დღითიდღე უფრო მზარდი შესრულების ოსტატობას?

იმას რა სჯობს, მასწავლებლები თავიანთ საამაყო კურსდამთავრებულს რომ შეხვდებიან! ასე იყო შორშან: თბილისქალაქობაზე თბილისის ზღვის მიდამოებში გამართულ დღესასწაულზე შეხვდნენ მუსიკაში ბავშვობიდან გამორჩეულს, ახლა მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეს ნიკოლოზ არაქელაძეს, რომელმაც ორმე მუსიკალურ სასწავლებელში შესვლის პირველი დღიდანვე გამოავლინა თავისი მოუსვენარი ბუნება, მოსწავლეთაგან დაკომპლექტებულ ხალხურ საკრავთა ანსამბლს ჩაუდგა სათავეში, სწავლაში გულმოდგინებითაც მოიპოვა მასწავლებლების და მშახანაგების სიყვარული და პატივისცემა.

ამგვარი მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ერთ დიდ გამორჩეულ მისწრაფებას გაყოლილი და შემდგომში ცნობილ სპეციალისტად ქცეული აღზრდილი თითზე ჩამოსათვლელი როდი ჰყავს სკოლას. მათი სწავლისა და შემოქმედებითი ძიების გზა დღეს მაგალითთა სკოლის თითოეული მოსწავლისათვის — ყველა პიონერისა და კომკავშირელისათვის, მათთვის, ვინც ჯერ ისევ უნდა ირწმუნოს ცოდნის ძალა, სწავლით მოპოვებული სინარულის სიდიდე და შეუდარებლობა.

გავისვენოთ დიდი ილიას სიტყვები:

„ცოდნა თითონ, თავის თავადაც სიმდიდრეა-მეთქი, მერე იმისთანა სიმდიდრე, რომ, რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუნაწილო, შენ არა დაგაკლდება რა, თუ არ მოგემატება.“

სწავლა, ცოდნა და მეცნიერება ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვერაფერი ვერ უდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე“.



ნორჩ მოცეკვავეებს ამცადინებს მასწავლებელი გ. ფავლენიშვილი.



მანანა გელაშვილი

ახატვარი თამაზ ფსიქიკმა

მ ო თ ხ რ ო ზ ა ბ ა ი

მამა

— ხომ წამოხვალ, სულხან, თეატრში? გამოვიარო? თუ გინდა შენ გამომვიარე... — შესთავაზა ანანომ ამხანაგს.

— არ ვიცი... შეიძლება ვერ წამოვიდე, — უპასუხა იმან.

— ნეტავ რას ელაპარაკები, როდის იყო, ეგ ჩვენთან ერთად სადმე დადიოდა... ხომ იცი, ბებიას კალთას ვერ სცილდება, — გაჰკენწლა ამხანაგს კახამ და მისი შემოტევის მოლოდინში უკან დაიწია, მაგრამ

სულხანმა მხოლოდ ტუჩი ჩაიკვნითა სიმწრით, ნაღველნარევი ღიმილით შეხედა დაუნდობელ თანაკლასელს და უხმოდ გაუხვია შინისაკენ.

— მე მაინც დაგირეკავ, — მიაცხა ანანომ, მერე კახას შეუბღვირა და ნაბიჯს აუჩქარა.

— მამა ისევ ისეა? — შინ შესვლისთანავე ჰკითხა სულხანმა დიდუდას და როცა იმან უხმოდ დაუქნია თავი „პოო“, მოღიავებულ კარებში ჩუმად შეიხედა, მერე ჩუმადვე ეხეხაკრეფით მოუახლოვდა სავარძელში ჩაძინებულ მამას, ცრემლმორეულმა შეხედა იმის გამხდარ, ღონეწართმეულ ხელებს და ფრთხილად, ძალზე ფრთხილად გადაუსვა ხელი ჩამოშლილ შეთხელებულ ქოჩორზე, იქვე მდგარ დაცლილ ღვინის ბოთლს დახედა და გულდათუთქული უკანვე გამობრუნდა.

დიდუდა სამზარეულოში ფუსფუსებდა. სულხანის საყვარელი „ყიყლიყო“ გაეკეთებინა და ახლა შაქრის ფხვნილს აყრიდა ზედ.

— სულხან! — გამოსძახა მოულოდნელად მამამ.

— ბატონო! — დამფრთხალმა ბიჭმა ჰამა მიატოვა და უმალ გღვიძებულ მამასთან გაჩნდა.

— აბა, ჩაირბინე და კიდევ ერთი ბოთლი ამომიტანე!

ბიჭმა უხმოდ გამოართვა მამას ფული და ცრემლჩაგუბებული თვალებით გამოვიდა დიდუდასთან.

— შენ დაჯექი, გენაცვალე, ჰამა დაამთავრე, გავიცვივდება. ისევ მე ჩავალ მაღაზიაში... რა ვქნა, რა ვქნა...

— არა, დიდუდა, მე ჩავალ, თორემ, სომ იცი, ისევ დამიწყებს... — აჩუჩრულდნენ სამზარეულოში შეწყუბებული დიდუდა და შვილიშვილი.

— მე რა ვითხარი, სულხან?! თუ ჩემი სიტყვა შენთვის არაფერია?! — ბრაზიანმა ჩახლეჩილმა ხმამ შეაწყვეტინა ჩურჩული. ბიჭმა ჩანთას ხელი დასტაცა და ცრემლების ყლაპვით კიბეზე დაეშვა.

მერე მამამ, როგორც ყოველთვის, როცა დათვრებოდა, სულხანი წინ დაისვა, აზრდაცლილი თვა-

ლებით მიაჩერდა და ცხოველებს მეგობარ-ამხანაგებზე ჩივიდა. მხოლოდ, როცა მამას სასმელმა კისერი მოსწყვიტა და ძილმა თავი წაართვა, გათავისუფლდა ბიჭი და გაკვეთილებს მიუჯდა.

ასე მეორდებოდა თითქმის ყოველდღე, აგერ უკვე მეორე წელია. ვერა და ვერ დაემორჩილებინა მამას ნებისყოფა, ვერა და ვერ გამკლავებოდა სასმელს, ვერა და ვერ მოეკრიბა ერთხელ წაფორხილებულს წამოსადგომად ძალა. სასმელს დაეძლია და დაეჩაგრა ოჯახის ერთგული და მოყვარული, კეთილი და პატიოსანი კაცი. აიწეწა ტკბილი ოჯახი, აირია, გაიბზარა და მერე სულაც დაიშალა. დედამ, რაკიდა სხვა გამოსავალი ვეღარ ნახა, დაავლო ხელი სულხანის უმცროს დას და თავის მშობლებთან გადასახლდა. და ახლა სულხანი თვეში ორსამჯერ, ისიც მამის ნებართვით, თუ ნახულობდა დედას და პატარა ნესტანს.

ამხანაგებიდან მხოლოდ ანანომ იცოდა, რა უკლავდა სულხანს გულს, რა აიძულებდა ტოლებს გარიყოდა, რატომ მიეჩქარებოდა მუდამ სახლში, რატომ ედგა თვალებში სევდა, რატომ იყო დიდუდას სითბოს შეფარებული. იმისი დეიდა სულხანთან სადარბაზოში ცხოვრობდა და მეზობელს სომ არც კარგი გამოეპარება მეზობლისა და არც ავი. იცოდა ანანომ ეს ყველაფერი და ძალიანაც თანაუგრძნობდა ამხანაგს, ოღონდ ყოველთვის ძალიან ფრთხილად, ისე რომ არ ეწყენინებინა, ტკივილისთვის ტკივილი არ მიემატებინა. სულხანი მადლობელი იყო მისი ამ სისათუთისათვის და როცა უკვე დარდი გულში ვეღარ დაეტეოდა, სწორედ ანანოსთან გაბედავდა ხოლმე მის დაცლას და ყველა ჭერზე აუცილებლად დააყოლებდა — ყოველთვის ასეთი კი არ იყო მამაჩემი! იცი, როგორი კარგი იყო? ძალიან კარგი, ყველაზე კარგი!

— მომიყევი, სულხან, კარგ მამაშენზე მომიყევი, — შეუქმსუბუქებდა ხოლმე მამის სატკივარს ანანო და ბიჭიც დანდობით უყვებოდა.



— იცი, სახელი დიდი სულხან-საბას პატივისცემით დაურქმევია ჩემთვის და მუდამ ამას მიმეორებდა — ხომ იცი, ვისი სახელიც გქვია! ჰოდა, ჩემო სულხან-საბა, შენც ისევე უნდა გიყვარდეს სამშობლო, ისევე არ უნდა გენანებოდეს თავი მისი სიკეთისათვის, როგორც შენს დიდ სენიას. ჯერ-ჯერობით შენი ვალი სწავლა-განათლება და სამშობლოს მომავალ სამსახურად თავის მზადება და წვრთნა არის და მერე აუცილებლად რომელიმე არაკს მოაყოლებდა „სიბრძნე სიცრუიდან“, მეც ლამის სულ ზეპირად მასწავლა მთელი წიგნი.

— კიდევ მომიყევი, სულხან, კიდევ, — ამხნევებდა ანანო ბიჭს და ისიც ღროებით ივიწყებდა სატიკივარს.

— უბრალოდ რომ წამომეტირნა, იმასაც ვერ იტანდა, ცრემლი არ დავინახო ჩემი ბიჭის თვალებზეო და თავისებურად შეცვლილს დააყოლებდა: „წვიმა არ არი, სულხანს თვალნი დაუსველა რამ?...“

— ერთხელ, იცი, სოფელში რომ ვიყავით, პურის ყანაში წამიყვანა, მწოფე ყანაში, მხრებზე შემისვა და მითხრა, აბა, ახლა ზევიდან დახედეო და მე დავინახე, როგორ უვლიდა მზე კაბანი თავთავებს, როგორ უტიფრად შესეოდნენ იმხელა სიყვითლეს დიდილო და ყაყაჩო...

ერთხელ კიდევ, იცი, ტყეში წამიყვანა, ერთ ბებერ ფიჭვთან დამაყენა, ხელი დამადებინა იმის დამსკლარ ტანზე და მითხრა, იცი, ჩემო სულხან-საბა, ეს ხე ხუთასი წლისააო...

იგონებდა სულხანი უწინდელ მამას და მხოლოდ მაშინ ეშვებოდა ცოტათი გულზე, მაშინ ეწმინდებოდა სევდიანი თვალები, ანანოც უსმენდა ბიჭს და მაშინაც კი, როცა იგი მეხუთეჯერ უყვებოდა ერთსა და იმავეს, არასდროს შეაწყვეტილებდა. სულხანს ესეც შემჩნეული ჰქონდა და ამისათვის ძალზე დიდ პატივს სცემდა ამხანაგს.

ხალისწართმეული ბიჭი ცდილობდა სწავლაში ემარჯვნა და არც არავის უდებდა ტოლს. სკოლაში

მისულ დიდდას მასწავლებლები მისას მხოლოდ ქებას ეუბნებოდნენ, თუმცა ბოლოს მაინც დასძინდნენ ხოლმე, რაღაც აწუხებს ამ კარგ ბიჭს და ვერ მიემგვდარებართო. დიდდა დუმდა, რადგან სწამდა, რომ თავიანთ სატიკივარს თვითონვე უნდა გამკლავებოდნენ, სხვისთვის არ უნდა მოეხვიათ თავზე და, რაც მთავარი იყო, იგი არამც და არამც არ უნდა გამხდარიყო სულხანის დასაშვები სიტუდის გამა-

მართლებელ მიზეზად იგონებდა ყოველთვის შვილიშვილს და კმაყოფილებით ამჩნევდა, რომ იგი იზიარებდა მის აზრს.

დღე დღეს მისდევდა. უკეთესობისკენ არაფერი იცვლებოდა და სულხანს ეჩვენებოდა, რომ არც ალარასდროს შეიცვლებოდა. მაგრამ...

მორიგი საკონტროლო წერის თემად ქართულის მასწავლებელმა „ჩემი მამა“ შესთავაზა ბავშვებს. სულხანმა ერთი პირობა კალმისტარი მერხზე დადო, არაფერს დაეწერო იფიქრა, მაგრამ ანანოს მზერა იგრძნო და იმ მზერამ ისევ ააღებინა ხელში კალმისტარი.

ერთი კვირის შემდეგ მასწავლებელმა შეცდომების გასასწორებლად ჩამოარიგა საკონტროლო წერის რვეულები. სულხანს „ხუთიანი“ ეწერა. ზარი რომ დაირეკა, ანანო მასწავლებელს აედევნა, კიბის თავზე დამიმართხელა და სულხანის რვეული სთხოვა რამდენიმე დღით, თან ისიც დააყოლა, სულხანს ნურაფერს ეტყვიოთო. მასწავ-





ლებელმა გაიკვირვა, ჯერ იუარა, რისთვის გინდაო, მაგრამ იცოდა, რომ ანანოს სხვისგან გადასაწერი არაფერი სჭირდა და მისცა, ოღონდ არ დაქარგო, იცოდნო, გააფრთხილა.

ანანო სხვა დროსაც დარჩენილა დეიდასთან რამდენიმე დღით. ასე რომ, სულხანს არ ვაპკვირვებია, როცა გოგონამ უთხრა, დეიდასთან ვადმოვსახლდი და შემოგიბრებ ხოლმეო. ანანომ იმდენი მოახერხა, რომ სულხანის ჩუმად დიდედან გამოჰკითხა, როდის აპირებდა სულხანი დედისა და დის სანახავად წასვლას და შაბათ საღამოს, როდესაც ამხანაგი წასული დაიგულა, მისი რვეულით ხელში, გულისკანკალით შეაღო სულხანის მამის ოთახის კარი.

— ოჰ! ეს ვინ მობრძანებულაო?! — გაიკვირვა ახლადგამოფხიზლებულმა. — ქალბატონ ანანოს ვახლავარ, რაზე გარჯილხარო? გოგონამ უჩუმრისპირად დაუღო წინ რვეული და უკან გამობრუნდა.

— „მე ძალიან მიყვარს მამა, ჩემი მამა ყველაზე კარგია, კეთილი, თბილი, ძლიერი ნებისყოფის, სამართლიანი და კეთილშობილი“ — ასე იწყებოდა სულხანის ნაწერი.

მამამ შუბლი შეიკუმუნა.

— „მე მინდა ყველაფერში მამას ვგავდე...“ — ეს კი მეტიმეტი იყო.

მამამ კითხვა მიატოვა და წამოდგა, ოთახში სიარულს მოჰყვა: სარკეში საკუთარ თავს მოჰკრა თვალი და გაჩერდა. „მე მინდა ყველაფერში მამას ვგავდე...“

ისევ რვეულს მიუბრუნდა.

„მამას ძალიან ვუყვარვართ მეც და ჩემი პატარა დაც, სულ იმის ზრუნვაშია, როგორ გვასიამოვნოს...“ — ნაწერს ცრემლი დაეცა. მამამ სასწრაფოდ მაკით დააშრო იგი, მაგრამ ერთი-ორი ასო მაინც დაიდგა.

— დედი! — შემოესმა დიდედან შვილის ხმა და გულშეწუნებულმა შეაკითხა. — რა იყო, ბიჭო, რა დაგეშართა?! — შეშფოთდა მოხუცი ცრემლმორეული შვილის დანახვაზე.

— არაფერი, დედი. ბიჭი როდის უნდა დაბრუნდეს?

— ხვალ დილით მოვა, ალბათ.

დედისგან მობრუნებულმა სულხანმა კარების შემოღებისთანავე ჩვეულებრივ იკითხა, მამა როგორ არისო, და დიდედან დაბნეულობა რომ შეატყო, შეკრთა, ხომ არაფერი მოხდაო, მაგრამ გამოკითხვა ვეღარ მოასწრო.

— სულხან-საბა! — შემოესმა მამის ხმა და ყურებს არ დაუჯერა, ასე მხოლოდ ადრე ეძახდა ხოლმე მამა.

მამა თავისი ოთახის კარებში იდგა.

— სულხან-საბა, გენაცვალე, ახალი ცხოვრება იწყება, ჩემო ბიჭო... მაპატიე, ყველაფერი მაპატიე!

სულხანი ადგილს მოსწყდა და მამას გულზე შეახტა. ამხანაგის დაგროვილმა ცრემლებმა მისი თვალები იპოვეს გზა-სავალი. მამამ ცოტა ხნით მოიშორა შვილის თავი მკერდიდან: „წვიმა არ არის, სულხანს თვალნი დაუსველა რამ?...“

დილით მამამ თვითონ გაამგზავრა სულხანი სკოლაში და თან დააბარა, რომ მიხვიდე, ანანოს ჩემს მაგივრად შუბლზე აკოცეო. გაკვირვებულმა სულხანმა სიამოვნებით შეასრულა მამის დანაბარები, ხოლო სკოლიდან მობრუნებულმა კიდევ უფრო მეტად გაკვირვებულმა ახლა მამას აკოცა შუბლზე — ეს კიდევ ანანოსაგანაო.

სიყვარული აზვამაღლებს

კარზე დარეკეს.

— სოლიკო, გახედე ერთი, გენაცვალე, მე არა მცალია! — გამოსძახა დიდედამ შვილიშვილს. ბიჭმა უხმოდ გადააღწა იატაკზე გაშანშულ იარაღებს და კოჭზე მავთულის ხვევა-ხვევით კარი გააღო.

ერთი პირი შეცბა სოლიკო, — იცნო და ვერც იცნო თანაკლასელი, სარდლიშვილი რომ იდგა მის წინ, აშკარა იყო, მაგრამ კიდევ რაღაცაში იყო საქმე, სარდლიშვილს რაღაც დამართნოდა.

— გამარჯობა, სოლიკო! — ყელმოღერებით თქვა გოგონამ.

— გაგიმარჯოს! — დაბნევით უბასუხა შეცბუნებულმა ბიჭმა.

— რატომ შინ არ შემიპატიჟებ? ან იქნებ არ შეიძლება?!

— ხო... რა თქმა უნდა, შემოდი!

— სოლიკო, ვინ არის, ვის ელაპარაკები?! — სამზარეულოდან იკითხა დიდედამ და როცა შვილიშვილის პასუხი ვერ მიიღო, შეშფოთებული,

ისევე, კოვზით ხელში გამოვიდა დერეფანში.

— ოჰ, ლია, შენა ზარ? მეც არა ვთქვი, ვიღაც შემოგვივარდა-მეთქი... სოლიკო, რატომ არ მიბასუხე, რომ გკითხე?! მოდი, გენაცვალე, მოდი. როგორ აყლარწულხარ, გოგო, რა ამბავია, პირდაპირ დაქალებულხარ ამ ორ თვეში... მაპატიე, მურაბას ვხარშავ და მეშინია არ მიმეწვას... — დიდედა ისევ სამზარეულოში შებრუნდა.

„აი, თურმე, რა მოსვლია სარდლიშვილს — აყლარწულა... ჰო, კიდევ, როგორ უთხრა დიდედამ... დაქალებულხარო?... ჰმ, წამოუწიაო უნდა ერთი ამ სარდლიშვილს“, — გაიფიქრა სოლიკომ და ამხანაგს შეუბღვირა.

— რას იკრიკები, უმიზეზოდ, რა გიხარია?!

ლიამ იწყინა, მაგრამ უმაღლვე ისევ „გაიკრიჭა“ — რასა ჩიჩმაგურაობ? — და რაღაც წვრილ ლურსმნებზეა

მორიგებულ ფიცრის ნაჭერს წაე-
ტანა.

— არ არის შენი საქმე! — შეუტია
სოლიკომ და საბოლოოდ წაუხდინა
გუნება.

— დარია მასწავლებელმა შემოთ-
ვალა, სწავლის დაწყებამდე კლასი
უნდა დავალაგოთ და ახლომახლო
ვინცა ცხოვრობს, ყველას შეატყო-
ბინეთო... ხვალ ათი საათისთვის უნ-
და შევიკრიბოთ სკოლაში.

— ხო, კარგი, მოვალ, — მოუჭრა
სოლიკომ.

ლია შეტრიალდა, ერთი წყენით
გააქნია თავი და კარისკენ წავიდა.
სოლიკომ მაშინლა შეამჩნია, რომ
სარდლიშვილს საყურეები გაეკეთე-
ბინა, ეტყობოდა უჭერდა, ყურის ბი-
ბილოები მთლად გალურჯებოდა. —
„რა ძალა ადგია ნეტავ! ცერცეტები
არიან ეს გოგოები...“

— ეგენი რაღას ჩამოგვიკონწიალე-
ბია?!

— არ მოგწონს? — გულდაწყვე-
ტილმა ჰკითხა ლიამ და ზელი საყუ-
რეების მოსაძრობად წაიღო.

ბიჭს შეეცოდა, ცოტა მოლბა და,
არ ვიციო, მხრები აიჩჩია.

— კარგად ბრძანდებოდეთ, ქალ-
ბატონო ნინო! — სამზარეულოში
შეაკითხა ლიამ დიდედას.

— მიდიხარ, შვილო?! რა გეჩქა-
რება, მე-ვთქვი მურაბას გაგასინჯებ-
დი, ზომ უნდა გავიგო, როგორი გა-
მომიღის...

— გმადლობთ, მაგრამ მეჩქარება,
უნდა სხვებსაც შევატყობინო... მუ-
რაბას კი ფერზეც ეტყობა, რომ კა-
რგია... — დაჭერებით უთხრა ლიამ.

„ვითომ ესმის რამე, მართლა უნ-
და წამოუწიავოს კაცმა ერთი...“ —
კვლავ გაბრაზდა სოლიკომ.

ამხანაგი რომ გაისტუმრა, სარკეს-
თან მივიდა და თავით ფეხებამდე
ათვალ-ჩაათვალიერა თავი. მერე
კარის ამყოლს მიეყუდა, ხელი თავზე
გადაიტარა და საზაფხულო არდადე-
გებამდე მონიშნულს შეადარა —
სულ რაღაც ერთი თითის დადებაზე
თუ გაზრდილიყო.

— ეჰ, დიდდო, მე ისე ვატყობ,
კლასში ყველაზე დაბალი მე ვიქ-
ნები, ფიზკულტურაზეც ალბათ, სულ
ბოლოში ვიდგები... აგე, სარდალაც

რამხელა გამხდარა, ზევიდან დამყუ-
რებდა... — შესჩივლა ბიჭმა მოფუ-
სტუსე დიდედას.

— ნუ გეშინია, გენაცვალე, გო-
გობმა ეგრე იციან — ერთი პირო-
ბა გაასწრებენ ბიჭებს ზრდაში, მერე
კი ბიჭები ერთბაშად წამოეწვიან
და კიდევაც აჯობებენ... მაგაზე არ
იღარდო, მამაშენიც ეგრე იყო...
ვწუხდი, მთელ ეზოში ლამის ყველამ
აჯობა სიმაღლეში, მერე კი იცოცხ-
ლე, ისე აიყარა ტანი, თითქმის ყვე-
ლაზე მაღალი დადგა... ყველაფერში
მამილა ხარ და რაღა სიმაღლეში
არ გამოემსგავსები. თუმცა კაცმა
რომ სთქვას, არც დედაშენს ეთქმის
კოჭდაბალი, ასე რომ, ფიქრი ნუ
გექნება... — ვითომ დაამშვიდა დი-
დედამ სოლიკომ, სინამდვილეში კი
უარესად დაადარდინა — თუ ამ
ზაფხულის განმავლობაში თეონაც
სარდლიშვილის სიმაღლე გახდა...
თუ იმანაც ასე ზევიდან დაჰყურა
სოლიკოს...

დილით სკოლაში წასასვლელად
სოლიკომ უარი თქვა უძირო „ბო-
ტასებზე“, მანამდე რომ გაუხდელად
ეცვა, და შედარებით მომადლო ქუს-
ლიანი ფეხსაცმელი ჩაიცვა, მერე
პირველი სექტემბრისთვის გაქათქა-
თებულ-გახამებული თეთრი ხალათი
გამოიღო, ქოჩორიც საგულდაგუ-
ლოდ გადაივარცხნა.

— რაო, მასწავლებელს შემოუთვ-
ლია საზეიმო ტანსაცმლით მოდით
კლასის დასალაგებლადო? — ღიმი-
ლით შენიშნა დიდედამ.

— კარგი რა, დიდდო, ნუ იცი
ხოლმე... აბა, აჩაჩულ-დაჩაჩული
ხომ არ წავალ! რა ვიცი, სულ იმას
მეჩიჩინები ხოლმე, ლაჩათრია და
ბოდოშა ხარ, მამაშენისგან მაინც
ისწავლე კოხტობაო, ახლა კიდევ...

— კარგი, კარგი, გენაცვალე, გა-
გეხუმრე, — დაამშვიდა დიდედამ
და გუნებაში ღიმილით გაიფიქრა,
ნამდვილად რაღაცაშია საქმეო.

თეონა სულაც არ მისულა იმ დი-
ლით სკოლაში, თურმე, ჯერ არც კი
ჩამოსულიყო ქალაქში. სოლიკომ
საგულდაგულოდ აზომა თვალით
ყველა მოსულთაგან და ცოტათი
დამშვიდდა. არც ისე ცუდად იყო
საქმე, როგორც შიშობდა, ბიჭები

თითქმის მისი სიმაღლისადა იყვნენ
ისევე, ეგ იყო მხოლოდ, რომ თითო-
ოროლას საუღვაზე მკრთალად გამ-
ურვოდა. გოგოებიდანაც ერთი-ორს
თუ აეყარა ტანი საგრძნობლად.

არც პირველ სექტემბერს, პირვე-
ლი ზარის ზემზე გამოჩენილა თე-
ონა და მხოლოდ როცა მოსწავლე-
ები საკლასო ოთახებში ჩამოანაწი-
ლეს, მაშინ მოვიდა, მზემოკიდებუ-
ლი, მოკლედ შეჭრილი თმითა და
მუდამ მოციმციმე თვალებით. მისც-
ვივდნენ გოგონები, გადაჰკოცნეს,
ატკრციალდნენ, სული აღარ მოათქ-
მევინეს — როგორ გაშავებულხარ
და როგორ გალამაზებულხარო, სად
ისვენებდი და თმა რატომ შეიკრი-
ჭეო, გიხდება და არ გიხდებო.

— ხო, ხო, ხო! აღნაგლით ახ-
ლა... ზამბახიძე, როგორმე ჩვენც გა-
გვხადე შენი მაღალი ყურადღების
ღირსი, ჩვენც ხალხნი ვართ მგონი!
— გაუბრტყელა ვაჟა კობახიძემ თე-
ონას საყვედური.

თეონას შერცხვა, მაგრამ ისე, რო-
გორც ყოველთვის, როცა დამნაშავე
იყო ხოლმე, ბოდის მოხდა არ გა-
სკირვებია და ახლა ერთად შეჭაუ-
ფებული ბიჭებისკენ წამოვიდა. სო-
ლიკომ ერთი კი მოასწრო დარწმუ-
ნება, რომ თეონა არც თუ ისე გამა-
ღლებულიყო და სწორედ მაშინ დაი-
ნტერესდა კლასის ფანჯარას მობჯე-
ნილი ვერხვის ტოტზე შემომჯდარი
ბელურათი და მთელი გულისყურით
დაუწყო თვალიერება.

— გამარჯობა, სოლიკომ! — გაი-
წკრიალა თეონას ხმამ.

— ჰო... გაგიმარჯოს! — შემო-
ბრუნებით კი შემობრუნდა სოლიკომ,
მაგრამ თვალები ზევით ვერ ასწია.
კიდევ კარგი ზარი დაირეკა, თორემ
ალბათ ყველა აუცილებლად შეატ-
ყობდა, როგორ გაწითლდა, მეტადრე
ის „წამოსანიავებელი“ სარდლიშვი-
ლი, იმას ხომ არაფერი გამოე-
პარება. ისევე წამოუარა სოლიკოს
იმ უცნაური მოკრძალების გრძნო-
ბამ, მოულოდნელად რომ იგრძ-
ნო ერთ მშვენიერ დღეს თეო-
ნას მიმართ და ჯერ გააკვირვა, კი-
დეც გააბრაზა, ხოლო შემდეგ ჩაა-
ფიქრა. ვერ გარკვეულიყო, რა ემა-
რთებოდა, რატომ ერთმეოდა ლაპა-

რაკის უნარი თეონას თანდასწრებით, რატომ შეეკვრებოდა ხოლმე ერთდროულად კობებიცა და მუშტებიც, როცა ვინმე ბიჭთაგანი ისევე გაელაზნანდარებოდა თეონას. როგორც სხვა გოგოებს, რატომ უნდოდა, რომ თეონას განსაკუთრებით გამოერჩია იგი სხვებისაგან... მერე კი გაიფიქრებდა ხოლმე:

„ისე, კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა მიაქციოს თეონამ განსაკუთრებული ყურადღება მაინცდამაინც მას, სოლიკოს?! კარგად სხვებიც სწავლობენ, ცხენოსნობაზე სხვებიც დადიან, ავიასამოდელი წრეში სხვებიც მეცადინეობენ... მესმის, ექვსიანებზე სწავლობდეს, საქართველოს ნაკრებში გამოდიოდეს ანდა მისი აგებული თვითმფრინავის მოდელი საკონსტრუქტორო ბიუროში მოსწონებოდეთ... შესახედადაც რასა ჰგავს, აბა?! დიდრონი ყურები, აკი ეძახიან კიდევაც „ლოკატორას“... გაურკვეველი ფერის თვალეები... გაფშვილი თმები, ქოჩორიც კი ვერ დაუყენებია...“

ხოლო რაკილა თეონას არაფერი საფუძველი არა აქვს, დანარჩენებისაგან გამოარჩიოს ის, ამიტომ თვითონ სოლიკო უნდა გამოიცვალოს, სხვანაირი გახდეს!.. მაგრამ როგორი? ან ახლა როგორია?!

ერთხელაც, როცა საფიქრალს თავი ვედარ გაართვა, სოლიკომ ისევ თავის უპირველეს მეგობარს მიმართა:

— დიდედო, ოღონდ გულწრფელად, აი, როგორც ჩვენში მოდის, მე და შენში... როგორა გგონია, შეიძლება თუ არა დადებით ადამიანად ჩავითვალო? და საერთოდ თუ შეიძლება, რომ ჩემნაირი... კაცი... ნუ... ბიჭი... — აქ კი წაიფორხილა სოლიკომ...

— ყველაზე კარგ გოგოს მოეწონოს? — დაუმთავრა სათქმელი დიდედამ.

— ჰო! — დაუდასტურა მისი მიხედვრილობით გაკვირვებულმა და გახარებულმა ბიჭმა.

— მე გგონი, რომ შეიძლება. კეთილი და პატიოსანი ნამდვილად ხარ, შენ კარგად იცი, რომ ჩემი



აზრით ადამიანის შეფასებისას ეს უპირველესი საზომია. არც ზარმაცი გეტქმის, ზრდილობაც არ გესწავლება, სინდისიერიც ხარ აშკარად, მეტს კი, გენაცვალე, მე პირადად ჭერჭერობით ვერც მოგთხოვ. ცოტა გოგოების მიმართ ვერ უნდა იყო სამართლიანი, რაღაცნაირი აგდებით უყურებ... აბა რა იყო იმ დღეს, ლიას როგორ შეხვდი, ან როგორ გაისტუმრე?

— აბა რა!.. აბა რა უნდა მექნა, ფეხქვეშ უნდა გავგებოდი თუ რა?!

— დარწმუნებული ვარ, თავადაც გრძნობ, რომ სტყუხიხარ.

სოლიკო ბურღულუნით დაეთანხმა დიდედას.

— შესახედად, შესახედად როგორი ვარ?

— შესახედადაც რა გიჭირს, გენაცვალე, ახლა დახატული არ

გეტქმის, რა თქმა უნდა, მაგრამ არც დასაწუნი ხარ.

რაკილა ერთხელ მიენდო დიდედას, სოლიკომ აღარ დაირცხვინა და პირდაპირ ჰკითხა: — დიდედო, აი, შენ... გიყვარდა პაპა?!

— რას ქვია, მიყვარდა?! მე ახლაც მიყვარს პაპაშენი! ისეთივე ფაქიზი და უხინჯო გრძნობით, როგორც ჩემს ყმაწვილქალობაში... და მე ბედნიერი ვარ, რომ ასეთი სიყვარული მერგო... ჰმ... გიყვარდაო... ჩემი იორამის სადარი კაცი დღესაც არსად მეგულება დედამიწის ზურგზე... მამაშ! — ჩაილიმა დიდედამ და ალერსიანი თვალეები შეავლო შვილიშვილს. ახლა კი უკვე ეჭვი აღარ იყო, რომ ბიჭს სიყვარული სწევოდა.

ჩაიარა სექტემბრის პირველმა დღეებმა. შეებნენ მეშვიდეკლასელები სწავლის ჰაპანში. ზოგი, და



საქმელა ბთაში

სოფელში ხუმრობენ, გაზაფხულზე გამოჩნდება, რომელი მასწავლებელი უფრო უყვართ ჩვენს ბავშვებსო — საყვარელი მასწავლებლის მაგიდაზე ლამის მთელი წელიწადი არ იღვევა ყოჩივარდები. ანლაც როცა როგორც იქნა ჩათავდა მთისთვის ჩვეული გრძელი ზამთარი, ჩამოდნა და ლანქერად დაიძრა თოვლი, როცა დღეებს ყინულის არშეები მოერღვა და გაყვივებულ სხეებში გაზაფხულის ყვავილები გამოჰკიატდნენ, სიამოვნების ღიმილმომდგარი მასწავლებლები ძლივსლა პოულობენ ყოჩივარდებით სავსე მაგიდაზე წიგნებისა და ყურნალის დასადებ ადგილს...

პატარაა შუახვევის რაიონის სოფელ ბრილის საშუალო სკოლა. სულ ათი კლასი და 120 მოსწავლეა აქ შესაბამისად. მცირერიცხოვანია სკოლის პავლიკ მოროზოვის სახელობის პიონერული რაზმეულიც —

იგი 55 ნორჩ ლენინელს აერთიანებს. მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს აქაურ პიონერებს საქმიანობაში და თუმცა მთიანი ზონის უმეტესი სოფლებისათვის დამახასიათებელი გარკვეული სიძნელეები თავის დაღს ასვამს, როგორც მთელი სოფლის, ისე სკოლის ცხოვრებასაც, ვერც ერთი პიონერი ვერ დაიჩივლებს, მოწყობილები ვართო.

ბრილელი ნორჩები თავიანთი ყოველდღიური ცხოვრებით ამტკიცებენ რამდენი საჭირო და საგულისხმო საქმის გაკეთება შეუძლია თუნდაც ასეთ არცთუ მრავალრიცხოვან პიონერულ კოლექტივს, თუ იგი ერთი სულისკვეთებით გამსჭვალულ გოგო-ბიჭებს აერთიანებს. აი ამ ერთიან სულისკვეთებას კი ყველაზე უკეთ გამოხატავს სკოლის ყოველი ცალკეული რაზმის მიერ სათავესდ არჩეული სამოქმედო დევიზები: „მტკიცედ დავიცავთ ლენინის ანდერძს“, „ნაპერწყლიდან ალი ავარდება“, „გავამართლებ პიონერის სახელს“...

რაზმეულის საქმიანობის მთავარი ძარღვი პიონერული შრომითი საქმიანობის ხუთწლედში მონაწილეობაა. აქაურ პიონერებს შრომა ისეთივე

უპირველეს მოვალეობად მიიჩნიათ როგორც სწავლა. მთის სკოლაში მცხოვრები ადამიანი თავისთავად არ შეიძლება ზარმაცი და წელანგარა იყოს. შრომის მთიელი კაცი პატარაობიდანვე სწავლობს და ეჩვევა ასეა ბრილშიც. აქაურ მრავალშვილიან ოჯახებში ყველა ერთნაირი პასუხისმგებლობით ირჯება. ამასთან, რა თქმა უნდა, ოჯახის ყოველი წევრი თავისი შესაძლებლობისა და ძალ-ღონის შესაფერის შრომას ეწევა. უფროსებს უმცროსები სიამელოდამხმარეებად მიიჩნიათ შეშის ტყიდან ჩამოზიდვაშიც და დახერხება-დაპობაშიც, ჩაღბსა და თივის დამზადება-მომარაგებაშიც, თონხა-ბარვაშიც და საქონლის მოვლაშიც, ანუ მთილის ყოველდღიურ საზრუნავ-საქმიანობაში. სწორედ ეს აღრევე შეძენილი შრომისმოყვარეობა და პასუხისმგებლობის გრძნობა დაეხმარა ბრილელ პიონერებს 600 კგ ტყის ხილის — მაჭალოს, მოცვისა და ასკილის შეგროვებაში. ამ მაჩვენებლებმა ისინი რესპუბლიკის მოწინავე რაზმეულთა შორის ჩააყენა. მაკულატურის შეგროვებაშიც ისახელს ბრილელებმა თავი. ერთი ტონა მა-

მათ შორის სოლიკოც და თეონაც, კვლავინდებურად ყოჩაღად და მუყაითად ეწეოდა მას, ზოგი არცთუ დიდი ხალისით, მაგრამ პასუხისმგებლობის გრძნობით, ხოლო თითო-ორთა სულაც გულგრილად მიჰყვებოდა დანარჩენებს. თითქოს არაფერი შეეცვლილა სოლიკოსთვის — სკოლა, მერე ერთ დღეს სპორტული სექცია, მეორე დღეს ავიასამოდელო წრე, გაკვეთილები, წიგნები, ხანდახან კინო, მოზარდ მაყურებელთა თეატრი აბონემენტით, ტელევიზორი... მაგრამ ახლა ყოველი დღე უფაქიზესი გრძნობით იყო გასხივოსნებული. ყველაფერი და ყველა კეთილი და ლამაზი ეჩვენებოდა, ყველაფერში მშვენიერს ეძებდა და პოულობდა. გოგოების მიმართაც აშკარად შეიცვალა, ის კი არა სარდლიშვილის „წამონიაგებაც“ კი აღარ მოუხდებოდა ხოლმე. ფიქრი კი მუდმივ თეონას გარშემო

დაფარფატებდა. თავისზე ბედნიერი არავინ ეგულებოდა ქვეყანაზე. არაფერს კი იმჩნევდა. ასე ეგონა, ვინმე რომ მიხვედრილიყო და დაეცინა ან რაღაც წამოეძახებინა, მოკვდებოდა. ერთადერთი დიდება ჰყავდა მესაიდუმლე, იმას უზიარებდა დანდობილად საფიქრალს, იმას ეკითხებოდა რჩევას. დიდდაც ესათუთებოდა შვილიშვილის პირველ გრძნობას, კეთილ ნაოჭებში ჩამალული ღიმილით ადევნებდა თვალს, როგორ კოხტაობდა ბიჭი, როგორ ფრთაშესხმული დაიარებოდა შინ და გარეთ.

არც სოლიკოს დედ-მამას გამოეპარა საკუთარი გარეგნობისადმი შვილის ეგზომ გაზრდილი ყურადღება.

— შენ რაღაც ძალიან იპრანჭები ამ ბოლო დროს, რაშია საქმე? აღარც ფრჩხილებს იკვნეტ, სკოლიდანაც ისე ამოგანგლული აღარ

მოდიხარ, — შეამჩნია დედამ.

სოლიკოს სიწითლემ წამოუარა და, როდისმე ხომ უნდა გამოვსწორებულიყავიო, — ჩაიბურტყუნა.

რაკილა დიდდამ დაინახა, რომ როგორც იქნა მშობლებმა ბიჭს ცვლილება შეატყვეს, საჭიროდ ჩათვალა ბოლოს და ბოლოს გაეგებინებინა მათთვის, რომ მათ შვილს, რომელსაც ისინი თავისი მუდმივი მოუტლელობის გამო დილით მის სკოლაში წასვლამდე ან დამე, ძილის წინ თუ ნახულობდნენ, სიყვარული სწვევოდა.

— რას ამბობ, დედაჩემო?! რა დროს ამის სიყვარულია?! უნდა იჯდეს და წიგნებს თავს აკლავდეს. სისულელეებზე ფიქრის დრო აქვს ესლა მაგას, სადაც არის სკოლა უნდა დაამთავროს! — აღმფოთდა მამა.

დედამ კი დედამთილი დაიმართხელა და წვრილად დაუწყო გა-

კულატურა არცთუ ისე ცოტაა მთიანი სოფლის პირობაზე. პიონერული შრომითი საქმეების ხუთწლიდში შარშან შეტანილი ამ წვლილისათვის სოფელ ბრილის საშუალო სკოლის პიონერული რაზმეული კომკავშირის შუახვევის რაიკომის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა; ამჟამად სიგელი პიონერთა ოთახში ყველაზე თვალსაჩინო ადგილზეა გამოკიდული და ერთი წუთითაც არ ავიწყებს პიონერებს, რომ კარგ დასაწყისს გაგრძელება კიდევ უკეთესი უნდა ჰქონდეს. აქი აპირებენ კიდევ ბრილელები წელს შარშანდელზე უკეთ გაისარჯონ; ჩააბარონ მეტი მასალა „მწვანე აფთაქისთვის“, მეტი შეაგროვონ მაკულატურაც და საერთოდ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკავშირო პიონერული მარშის მარშრუტებით გათვალისწინებული პიონერული დავალებების შესრულებაში... ყველა კეთილი საქმის ყველა საინტერესო ღონისძიების წამომწყები და სულისჩამდგმელი რაზმეულის აქტივია. ნარიმან და ნატო ბერიძეებს, ფატი, იამზე და ნაზი ბოლქვაძეებს, ჟუჟუნა ტაკიძეს, ფატი ზოიძეს ყოველთვის მხარში უდგანან სკოლის კომკავშირუ-

ლი ორგანიზაცია მისი კომიტეტი. რომელსაც მზია ზოიძე ხელმძღვანელობს. სწორედ ერთობლივი მონაღმებისა და გარჯის წყალობით იყო, რომ ასე საინტერესოდ ჩატარდა რაზმეულის თემატური შეკრებები — „გმირი კომკავშირელები“, „გრცელია ჩემი სამშობლო“, „როგორ ვიცავთ სასკოლო საკუთრებას“, „ვადიდოთ ქალი“ და სხვ.

მეტად სასარგებლო საქმიანობას ეწევა რაზმეულის აქტივის ინიციატივით შექმნილი საგუშაგო „იცოცხლე, წიგნი“. ვინ იცის, რამდენ სასკოლო სახელმძღვანელოს, სკოლის ბიბლიოთეკის ფონდის რამდენ გასაცოდავებულ წიგნს დაუბრუნეს და გაუხანგრძლივეს სიცოცხლენორჩ წიგნის მოყვარულთა მზრუნველმა ხელებმა. საგუშაგოს წევრები რეგულარულად ამოწმებენ სახელმძღვანელოების მდგომარეობას კლასების მიხედვით და ვაი მას ვისაც წიგნისადმი უდიერ მრპყრობას შეამჩნევენ. საგუშაგოს წევრებმა მოამზადეს და ჩაატარეს კონკურსი „წიგნი ჩემი მეგობარია“, რომელიც მიზნად ისახავდა, შეეხსენებინათ თითოეული მოსწავლისათვის, რამდენი ჯაფა და ხარჯი სჭირდება ქალა-

დის დამზადებას. წიგნის დამკვეთს.

ბრიულ გოგო-ბიჭებს, რომლებსაც თვის მოუწევთ გული სკოლისთვის, მაშინაც კი, თუ იზარმაჯეს და გაკვეთილი ვერ მოამზადეს, რადგან აქ გატარებული ყოველი საათი რაღაც ახლით ამდიდრებს. სამომავლო გზის არჩევისთვის ამზადებს მათ.

სკოლის ერთი პატარა, მაგრამ მტკიცე და მეგობრულ ოჯახად შეკრული პედკოლექტივი დღენიადაგ იმის ზრუნვაშია, ქვეყნისთვის, ხალხისთვის საჭირო და საიმედო ადამიანები აღზარდოს, მოქალაქეობრივი რწმენა და პოზიცია გამოუმუშაოს მათ. და უნდა ითქვას, რომ აღზარდილები სავსებით უმართლებენ აღმზრდელებს — ბრილის სკოლის ყველა კურსდამთავრებული, უმაღლესგანათლება მიღებული სპეციალისტი იქნება ეს, თუ მშობლიური სოფლის კოლმეურნეობაში სამუშაოდ დარჩენილი მეურნე, ერთნაირად აღგება სოფელს, ხალხს.

8. კარბარამთელი

მოკითხვა: გოგო ვილა არისო, რა ოჯახის შვილია და მშობლები ვინა ჰყვანანო, შესახედად როგორიაო?

დიდებამ მაშინვე ინანა, რომ გასთქვა სოლიკო, მაგრამ გვიანდა იყო.

იმავე საღამოს, ვახშმის შემდეგ, როგორც ყოველთვის, მშობლებმა მოიციალეს შვილისთვის.

— აბა, რა ამბები იყო სკოლაში? — დაინტერესდა მამა. — საკონტროლო რა ჰქენი? წინა ნაწერში რა ნიშანი გქონდა?

— სამიანი, — მშვიდად უბასუხა სოლიკომ.

— სამიანიო?! — აფეთქდა მამა, მაგიდას მუშტი დაჰკრა. — არა, ეს ზავში გამაგიჟებს... ბიჭო, ალგებრაში სამიანი როგორ უნდა მიიღოს ადამიანმა?! შენ იცი თუ არა, რომ მე სკოლა ისე დავამთავრე... მართო სკოლა კი არა ინსტიტუტიც და მე რე ასპირანტურაც, რომ ერთი ოთ-

ხიანი რა არის, ისიც კი არ მიმიღია, შენ რა ღმერთი გიწყობა?! მე შენ გიჩვენებ სიყვარულს! დამიწყო აქ სიყვარულობანა...

სოლიკო შეკრთა. უმაღ დიდებამ სკენ გაექცა მზერა. იმან დაბნეული თვალები შეაგება.

— ყველაფერს მოვანატრებ, იცოდე, აღარც ცხენოსნობაზე ივლი, იმ შენს ავიამოდელიზმისთვისაც მიგანებებინებ თავს... მოიცა, როცა იქნება, მოვიცილი შენთვის!..

დიდებამ სცადა გამოსარჩლებოდა შვილიშვილს, მაგრამ ვინ დააცალა!

— ზო, ზო, გადაეფოფრე, ახლა, გადაეფოფრე! რომ იცოდე, სულ შენი გაფუჭებულია ეს ბიჭი! მე ზომ ვიცი შენი დამოკიდებულება სიყვარულისადმი, „სიყვარული აღგვამალლებსო“!.. არავითარი! სისულელეა ეს და მეტი არაფერი...

...მოკლედ, დამიხსოვრე, დღეის

ამას იქით არავითარი სიყვარულობანა არ ვაეიგო, თორემ... — და მამამ კიდევ ერთხელ ღონივრად დაჰკრა მაგიდას მუშტი, წამოდგა და ახლა ტელევიზორს მიუჯდა.


დიდებამ მშვიდად გაათრთხილა სოლიკო, ხომ იცი, მამა ტყუილად არაფერს იტყვის, ნათქვამს აუცილებლად შეასრულებსო, მე რე ჩურჩულით მაინც ჰკითხა, ვინ არიან იმ გოგოს მშობლებიო, მაგრამ შვილის თვალებს რომ შეხედა, უჩუმრისპირად გაბრუნდა.

დიდებამ სამზარეულოში იჯდა და ტირილდა.

— სოლიკო, გენაცვალე, მაპატიე უნებური დღატი. — შესთხოვა მან შვილიშვილს.

სოლიკომ ალერსით თავზე ხელი გადაუსვა და ჰკითხა:

— დიდებო, „სიყვარული აღგვამალლებსო“!.. და მე რე, მე რე როგორ არის?



მოხუცი შანიონი

მეათე ჩახავე

მოთხოვა მხატვარი ჯანო ჯიშმერია

— თავს დაბლა ნუ სწევ, სისხლი წამოგივა.
 — არა უშავს, — თავი მაღლა ასწია ჭიკომ.
 შანდორმა ცხვირზე თითი მოუსვა,
 — მაგრად დაურტყამს.
 ბიჭს სახე შეუტოკდა. — მოულოდნელად, — ჩაილაპარაკა.
 — რას ამბობენ, როგორი ბიჭიაო?
 — ერთი მეტიჩარა ვინმეა.
 — შენ გინდოდა გეთქვა, მეტიჩრულად გამოუვიდა?
 — ჰო!...
 — ღონიერია?
 — !...
 — მოგერევა?
 ბიჭმა ნერწყვი გადაყლაპა.
 — შებორკილი რომ დაგიდონ წინ?! — თვლებში მიაჩერდა შანდორი.
 ბიჭმა კვლავ გადაყლაპა ნერწყვი.

— ჰო, რას იზამდი?!
 — არაფერსაც არ ვიზამდი.
 — შეგეშინდა?!
 — არა.
 მოხუცი გარეთ გავიდა. აივანზე საწვიმარი ჩამოსხნა და კიბეზე დაეშვა. ახლა ბიჭი გავიდა გარეთ ცხვირსახოცაფარებული; მოხუცს თვალი მიაყოლა, შანდორმა ფარდულიდან მოტოციკლეტი გამოაგორა.
 — საწვიმარი მოიხურე.
 — ასე მირჩევნია.
 — საწვიმარი!..
 ჭიკო შინ შებრუნდა. მოხუცმა ზედიზედ ჩამოჰკრა პედალს. მოტოციკლეტი ახმაურდა. ძაღლმა ყეფა დაიწყო; ჯაჭვი აჟღარუნდა.
 — მალე მოვალთ, — თქვა მოხუცმა. ჭიკო საწვიმარმოხურული კიბეზე ჩავიდა. შანდორმა ტყავის ხელთათმანი გაიკეთა და მერე გაშლილ წვე-

რებზე ხელი ჩამოისვა.
 — მოდინარ?
 — მოვდივარ, — ზანტად ჩაუდავტუქო ეტლში.
 — წუთითაც ვერ ძლებს უჩვენოდ,
 — შანდორმა ძაღლს გადახედა. ბიჭმა საწვიმარი შეისწორა.
 „გერ!“
 მოტოციკლეტი სწრაფად გავარდა წინ. მერე ნელი სვლით მოხერხებულად აუარა დაფნის მწკრივს და ჭიშკარს მიადგა; ჭიკომ წამოდგომა დააპირა.
 — მე უფრო ახლოს ვარ, — თქვა მოხუცმა. დინჯად გადმოვიდა, ჭიშკარი გაალო, მოტოციკლეტს უბიძგა და გარეთ გააგორა; მერე ჭიშკარი გაიხურა და მოტოციკლეტთან მივიდა.
 — წინსაფარი შენსკენ გასწი, — თავით ანიშნა მოხუცმა, მოტოციკლეტზე რომ დაჯდა.
 — აბა, ერთი ვესტუმროთ იმ შენს მეგობარს.
 ბიჭმა თავი დახარა. შანდორმა საწვიმრის ჯიბიდან ფართო სათვალე ამოიღო.
 — მრცხვენია!.. მგონი, კარგად არც მახსოვს, სად ცხოვრობს.
 — არა უშავს, გაიხსენებ.
 „რატატატატა!..
 მოტოციკლეტი დაიძრა. ვიწრო შუკაში დატბორილ გუბურებს მარჯვედ აუარა, ამადლებული ბექობი მძლავრი ქანით აათავა და ტრასაზე შედგა. წვიმას ასფალტი ერთიანად გადაეშავებინა.
 შანდორმა სათვალე მოირგო, ერთხელ კიდევ გადაისვა წვერებზე ხელი და მოტოციკლეტი მოსხლეთით დაძრა ადგილიდან.
 შანდორმა მოტოციკლეტი ხის პატარა სახლის წინ გააჩერა. ის იყო, კარზე დააკუნება დააპირეს, რომ აივანზე ბიჭი გამოვიდა. შანდორისა და ჭიკოს დანახვაზე შეცბა.
 — ესაა? — იკითხა შანდორმა.
 — ჰო, მაგრამ შემთხვევით მოუვიდა, ხომ ვითხარი, — თქვა ჭიკომ.
 — სალამი, ყმაწვილო! მშობლები შინ არიან?
 — მე მშობლები არა მყავს.
 — მაშ, ვინ არის შინ?

— ბაბუა და ბებია, ოღონდ ახლა ექითან არიან წასულები.

— სწორად გავვიგე. საჩხუბრად არ მოვსულვართ, არც საჩივლელად. რომელ კლასში ხარ?

— მერვეში.

— ჭიკო მეექვსეშია. არ გეგონოს, რომ მსდარია, მაგრამ შენზე უმცროსია.

— შემთხვევით მომივიდა... — თითქოს ამოისლუკუნა ბიჭმა.

— შემთხვევით მოუვიდა, — დასძინა ჭიკომ.

— აბა, დაფიქრდი, შვილო, ყოველმა ძლიერმა მასზე სუსტი რომ დაჩაგროს, ხომ წანდება ქვეყანა, დაჩაგრული უხალისო გახდება, ავადმყოფური. ძლიერმა სუსტი უნდა გაამხნევოს, ფხა მისცეს, ამაშია მისი სიძლიერე. — ბიჭები იატაკს დასჩერებოდნენ. — ხომ ხედავთ, ყოველდღე როგორი კრიამული აქვთ ჩიტებს? ერთმანეთი რომ დაკორტონ, ექნებათ სიმღერის თავი?!

შანდორმა ბიჭს მხარზე ხელი დაადო, ბიჭი უფრო მოეშვა.

— გახსოვდეთ, შვილებო, ცხოვრება ხალისია, ყველა ადამიანი კი — მეგობარი. ცუდის გაკეთება რა დიდი ამბავია, შენ მე კეთილ საქმეში გამეჯიბრე და მათქმევინე, რომ პირველი კაცი ხარ. ხომ არ გგონია, არ ვიტყვი! ისე ვიყვირებ, რომ ქვეყანას გავაგონებ შენს სახელს. ასეა! აბა, ახლა ხელი ჩამოართვით ერთმანეთს, ჰო, ჩამოართვით!..

ბიჭი შეიშმუნა. ჭიკო იატაკს დააჩერდა.

— ჰო, რას უყურებთ, ვაჟკაცები არა ხართ?

ბიჭმა მორცხვად გამოსწია ხელი. ჭიკომაც გაუწოდა.

— მორჩა! ყმაწვილო, როცა თამაში მოგინდეს, გამოგვიარე ხოლმე ზღვისპირას.

ბიჭმა გაიღიმა.

— აბა, კარვად!..

შანდორი და ჭიკო კიბეზე დაეშვნენ. წვიმას გადაედო. შანდორმა მოტოციკლეტის ეტლს საწვიმარი ფარდაგი ახსნა და გასაღები ჭიკოს გაუწოდა.

— მე?!

— ახლა მე ვიქნები შენი მგზავ-

რი, — შანდორი ეტლში ჩაჯდა. ბიჭი ჭიკოს მიაჩერდა. ჭიკომ მოტოციკლეტს ჯერ გასაღები მოარგო და მერე პედალზე ორთავე ფეხით შემდგარმა რამდენჯერმე ჩამოჰკრა. მოტოციკლეტი ახმაურდა.

— აბა, გვინახულე, ყმაწვილო, — ხელი აუწია შანდორმა.

ბიჭს წარბები აუთამაშდა. ჭიკომ მოტოციკლეტი ერთბაშად დაძრა, მერე ბორბლების ღრჭიალით პატარა მოედანი მოსჭრა და ქუჩის მარჯვენა კიდეც გაუყვა.

გაკვირვებული მისჩერებოდა მოტოციკლეტს თვალეზადქცეული ბიჭი. შიგადაშიგ შანდორი რაღაცას გადაულაპარაკებდა ხოლმე ჭიკოს.



ჭიკო ხან თავს უქნევდა, ხან გადმოხედავდა და გაეპასუხებოდა.

იქეთობისას კარგი ამინდი იყო. მეექვსეკატორე მუშებს დროზე მიუტანეს ყველაფერი, მაგრამ უკან დაბრუნებულებს ქარმა მოუსწრო. თვალის დასამხამებაში აიქოჩრა პალიასტომი.

მოტორიანი კატარლა ახლა სტუნვა-სტუნვით მიიწევდა წინ. ტალღები მძლავრად ეხეთქებოდა აშვერილ კიჩოს. ქარისაგან გადაწმენდილ ცაზე ვარსკვლავები ციცინათელებივით ციმციმებდნენ. ადუღებული წყალის ბუფბუყებდა მღვრიე ტბა. შავად მოჩანდა განაპირა ტყეები. ქარის წივილში ისევ ყრუდ გუგუნებდა მოტორი. შანდორს მარცხენა ხელით ღონივრად ჩაებლუჯა საჭე და ყურადღებით ადევნებდა თვალს მომხდური ტალღების წყებას. ჭიკო კიჩოზე ზურგით მიწოლილიყო და მამობილს შესცქეროდა. შანდორს მეთევზის ფარფლიანი ქუდი თავზე ფაფანაკივით ედო, წვერებგაფოფრილს მუშტისოდენა თვალები მოუჩანდა.

— მუშებს ძალიან გაუხარდათ, — თავი აიქნია ჭიკომ.

— დროზე მივუსწარი, ახლა სამი დღის სამყოფი წყალიცა აქვთ და პურიც.

— ვითომ ჩატვირთავენ სვალისათვის ბარჯას, როგორ გგონია?

— ისე, ძნელი კია იმ მისადგომებში ტორფის ამოღება.

— კი მაგრამ, რად უნდათ ამდენი ტორფი?

— უნდათ კი არა, არ ყოფნით, — შანდორს ხველება აუტყდა.

— სახლამდე კიდეც შორია, მამი?

— ნახევარი საათის გზა იქნება.

— ამ თვალწვდენელ ტბაზე გზას მაინც რანაირად აგნებ?

— ვაგნებ კი არა, ვგრძნობ.

— რანაირად?

— ჰე, შვილო! მთელი ჩემი ცხოვრება ამ ტორფით დატვირთულ ბარჯებს ვეზიდები, რაა გასაკვირი.

ტალღის მძლავრმა დარტყმამ შანდორი გამოაფხიზლა, თვალი ჭიკოსაკენ გაექცა.

ორი კატარღა მთელი ძალით ეწეოდა ტორფით დატვირთულ უშველებელ ბარჯას. შანდორი კატარღიდან წელსზემოთ მოჩანდა. თავზე ჭილის ფარფლიანი ქუდი ეხურა. ნელ-ნელა მოიწვედნენ ნაპირისაკენ. მდინარის პირას რამდენიმე მუშა იდგა. ცოტა მოშორებით მშრალი ტორფის ბორცვზე ჭიკო შემდგარიყო. ხელში ღორჯოების აცმა ეჭირა. შანდორმა შენიშნა ჭიკო და შორიდანვე აუწია ხელი. ნაპირს რომ მიუახლოვდნენ, ბარჯიდან მუშებმა ბაგირი გადმოაგდეს. ნაპირზე სწრაფად მიიღეს ბაგირების ბოლოები და მარყუქებით კანჯოებს ამოსდეს. მერე კატარღებს ახსნეს ბაგირები, თითქმის ერთდროულად დაახვიეს და კატარღებში ჩაყარეს. შანდორის კატარღა ნაპირს მიადგა.

შანდორი კატარღის კიჩოზე შედგა და ნაპირზე გადახტა, კატარღა ხელში ჩაბღუჯული თოკით მოსწია და ხის სოლზე დააბა. მერე მაღალყელიანი ჩექმები გადმოიკეცა და ბილიკს დაადგა.

მოგუგუნე აგრევატთან სამი მამაკაცი იდგა. ტორფსადენი მილიდან თხევადი ტორფი იღვრებოდა. იმ სამი მამაკაციდან ერთ-ერთი რალაცაზე დავობდა, მეორე, წელში მოხრილი, ტორფის მასას დასჩერებოდა.

შანდორი ბილიკიდან მინდორზე გავიდა. აქ უწინდელი დაღვრილი ტორფი დაწრეტილიყო და მთელ მინდორს გამხმარ ფენად დასდებოდა. დამქუცმაცებელი დანადგარი მთელი ძალით დგანდგარებდა. ბაგირის დოლი სწრაფად ბრუნავდა. საფქვავექვეშ შემდგარი თვითმცლელი მანქანის კაბინიდან მძღოლმა ხელი დაუქნია. ჭიკო შემოეგება.

— ოჰო! მაგრად გითევზავნია, — მხარზე ხელი დაჰკრა.

— უფრო მეტსაც დავიჭერდი, ძროხები რომ არ ჩასულიყვნენ.

— დაგიფრთხეს ღორჯოები, არა? შინ რა ამბავია?

— ყველაფერი რიგზეა.

სასწორის ფიცარნაგზე შემდგარი ტორფით დატვირთული მანქანა თუხთუხებდა. მწონავი გოგონა საგზურს

ავსებდა. გამოღებულ სარკმელში მძღოლს თავი შეეყო და გოგონას ელაპარაკებოდა.

შანდორი და ჭიკო კარიერის შესასვლელში გამოვიდნენ. სახეზე ჩაჩქანჩამოფარებული ორი შემდუღებული ექსკავატორის ციცხვს დასტრიალებდა. იქვე, ოცდაათიოდე მეტრის მოშორებით სამონტაჟო საამქროში მუშები ჟანგბადის ბალონებს ეზიდებოდნენ. საამქროს მოპირდაპირე ბექობზე ბენზინის ცისტერნები მზეზე ლაპლაპებდა; ცეცხლსაშიშ მანქანაში ბენზინს ასხამდნენ, მძღოლიც იქვე ტრიალებდა.

— ჭიკო, მე ტანზე გამოვიცვლი, ხიდთან დამელოდე, ახლავე მოვალ, — უთხრა შანდორმა ბიჭს და ჯიხურისაკენ მიმავალი მანქანის სატერფულზე შედგა.

ჭიკო ცეცხლსაშიში მანქანის მძღოლთან მივიდა.

— ძია გიორგი, ხილამდე გამიყვან?

— საკითხავია მაგი, ჭიკო? დაბრძანდი...

ჭიკო კაბინაში ჩაჯდა.

მანქანა თუხთუხებდა.

— ცეცხლი! — იყვირა უცებ ვილაცამ. მუშები შეშფოთდნენ. ცეცხლსაშიშ მანქანას მარცხენა მხარეს ცეცხლი გასჩენოდა. მძღოლი აყვირდა. მერე დაბნეულმა პიჯაკი გაიხადა და ცეცხლის ჩაქრობა იწყო. შემდუღებლებმა საქმე მიატოვეს და გაიქცნენ. დაბნეული მძღოლი უკან დაედევნა.

ჭიკომ კაბინიდან თავი გამოყო. ცეცხლი უკვე ძარაზე ფუთფუთებდა... მძღოლი გონს რომ მოეგო, შემობრუნდა და დაინახა, მანქანა მდინარის მიმართულებით მიქროდა...

— ჭიკო!... ბიჭო, რას შვრები, ჭიკო!... მძღოლი ყვირილით დაედევნა უკან.

ღია კარიდან ბურთივით გამოვარდა ჭიკო და მინდორზე გაკოტრილდა. მანქანა მდინარეში შევარდა. აფეთქების ხმაზე მდინარეს ცეცხლის გორა მოსწყდა და მაღლა აიჭრა.

— როგორაა ბავშვი? — ჰკითხა შანდორმა ექიმს.

— კარგადაა, ნამდვილი ვაჟკაცია, შვილი შენ გყოლია, ძმაო!

— ახლა მაინც შემიტყობ!

— მობრძანდით!

შანდორი დერეფანს აუყვა და კარებზე დაკიდულ ნომრებს თვალიერება დაუწყო: „სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი...“ — შედგა. მერე თითის წვერებზე აიწია და მიხურული კარის სარკმილიდან შეიხედა. მთელ ოთახში ჭიკოს გარდა არავინ იწვა. ჭერს მისჩერებოდა. შანდორმა კარი ნელა შეაღო, სწრაფად შევიდა და კარი ზურგიით მიხურა. ჭიკო შეიმუშნა.

— რას იტყვი, ვაჟკაცო, როგორ ხარ? — თვალებში მიაჩერდა შანდორი.

— არა მიშავს, — თავი გაიქნია ჭიკომ.

— აბა, ერთი დამანახვე, როგორ წამოჯდები?

ჭიკო სწრაფად წამოჯდა.

ტრასაზე ერთმანეთის გვერდით მიაბიჯებდნენ შანდორი და ჭიკო. მზე მთელი ძალით აცხუნებდა. სანაპიროდან ზღვაური ქროდა. ჭიკო სივრცეს გასცქეროდა. შანდორს ჭილის ფარფლიანი ქუდი მოეხადა და ხელში ეჭირა. შორს დიდი სატვირთო მანქანა გამოჩნდა. მარჯვენა მხარეს ლურჯი კამკამა ზღვა გადაჭიმულიყო, თოლიები ცაში გაბმულად ჭყიოდნენ.

— იცი, თუ არა, რომ შენზე ამბობენ, გმირიაო.

— გმირი არა, ისა!..

— ფეხი რომ მოგიჩხება, მერე ისევ უნდა შეგეჯიბრო ცურვაში.

— მამა, დუსია დეიდას მაკე ძროხა იპოვეს?

— ვერა.

— რას ამბობენ?

— შეიძლება ტყეში შობა და სანამ ხბოს მუხლი არ გაუმავრდება, მდინარეზე არ გამოიყვანსო.

გვერდით მანქანამ ჩაიქროლა.

ერთმანეთის მხარდამხარ მიმავალი მამა-შვილი ნელი ნაბიჯებით მიჰყვებოდა განიერსა და გრძელ ქუჩას.



ნორს კორასონდენტთა ჟურნალი № 4

ამხანაგის დახმარება პიონერის ვალია

ჟურნალ „პიონერის“ მე-9 ნომერში გამოქვეყნებულმა თამარიკო ბრეგვაძის წერილმა ძლიერ დამაინტერესა. თეა რომ ფრიადზე სწავლობს, ძალიან კარგია. საამაყოა, მაგრამ ნუთუ თეამ არ იცის, რომ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანის მკურნალი და მხსნელი მხოლოდ მეგობარია, რომ ვაჭირვებიდან უმეგობროდ თავის დაღწევა ძნელია.

თეა არასწორად მოიქცა, როცა ნანა „მოიშორა“. თეას რომ აეხსნა ნანასთვის მათემატიკის ამოცანა, მაშინ ნანას „ხუთიანი“ მისი დამსახურება იქნებოდა, ყველა მოუწონებდა თეას საქციელს. შეაქებდა მას.

სასახელო პიონერი რომ იყო, კარგად უნდა ისწავლო და პირნათლად შეასრულო პიონერული დავალებანი. ნუთუ თეამ არ იცის, რომ ამხანაგის დახმარებაც პიონერული დავალებაა.

სანიმუშო პიონერი ის არის, ვინც კარგად სწავლობს, კარგად შრომობს, არაფერს ზოგავს იმისთვის, რომ ამხანაგს ვაჭირვებაში დაეხმაროს, თავისი საქმით სიკეთე მოუტანოს.

თაონა იმაღაძე,
თბილისის 126-ე საშუალო
სკოლა, VII კლასი.

თვალისჩინივით გაუფრთხილდით!

ჩემი აზრით, ცოდვება უმეგობრო ადამიანი, იგი მკლავმოკვეთილსა ჰგავს.

მე ბევრი ამხანაგი მყავს, ზოგი მათგანი ჩემზე უფროსიცაა. უფროსი ამხანაგებისაგან ძალზე ბევრი რამ მისწავლია, ხშირად გამიზიარებია მათთვის ჩემი ოცნებები და ფიქრები. მეგობარი მხოლოდ ორი მყავს. მათთან უფრო გულახდილი ვარ, ვიდრე ამხანაგებთან. კლასში 40 ბავშვია, ყველა რომ შენი მეგობარი იყოს, შეუძლებელია.

ზოგიერთები მეგობრებს მხოლოდ ჩაცმა-დახურვისა, მშობლების თანამდებობისა და ოჯახური პირობების მიხედვით ირჩევენ. ისინი რაღაც ნიღბებს ატარებენ, „თამაშობენ“...

მშობლები ზოგჯერ ეჭვის თვალთ უყურებენ გოგონასა და ვაჟის მეგობრულ დამოკიდებულებას. თეატროში თუ კინოში მიმავალთ თვალს

გააყოლებენ. არადა, მათ შორის წმინდა მეგობრობაა... მე კი ვაჭირ მეგობარი არა მყავს.

მეგობრობა ძალზე წმინდა და სათუთი გრძობაა, რომელსაც თვალისჩინივით გაფრთხილება სჭირდება.

რუსუდანი ჭუთათელაძე,
ქუთაისი, მე-8 საშუალო
სკოლა, VII კლასი.



რა დღეა ის დღე

თუ ჩიტმა დილა არ მომილოცა, -
რა დღეა ის დღე!
თუკი მზის ბრწყინვამ არ გამოაცა,
რა მზეა ის მზე!
თუ სიომ ბალი არ გადაკოცნა,
რა დღეა ის დღე!
კლდემ ერთი ჩქამი არ გააოცა? —
რა კლდეა ის კლდე!
თუ ტყე არ მღერის,
ქარი ქრის როცა,
რა ტყეა ის ტყე!
თუ დღემ სიახლე რამე არ მოგვცა,
რა დღეა ის დღე!

შპს პიონერი

ლურჯი მთები,
ნისლის თავსაფრიალები,



სიძი

ეს მტაცებელი ერთ-ერთი ულაშა-წესია კატისებრთა ოჯახის წარმომადგენლებს შორის. ბეწვის შეფერილობის საერთო მოყვითალო ფონი დაფარულია ხშირი შავი ლაქებით. სხეული ჯიქს მოგოძო. მოხდენილი აქვს, თავი — მრგვალი, კუდი ვრძელი, ფეხები ღონიერი და ვრძელი,

ბასრი ბრწყალეობით აღჭურვილი.

ჯიქი გვხვდება აფრიკაში, სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიაში, საბჭოთა კავშირში — კავკასიაში, თურქმენეთის მთებში, შორეულ აღმოსავლეთში. ადრე საქართველოში იგი ფართოდ ყოფილა გავრცელებული. გვხვდებოდა მთავარი კავკასიონის ქედის ტყეებში. ბორჯომის ხეობაში, ქართლ-იმერეთისა და აჭარა-გურიის ქედებზე, აგრეთვე კოდორისა და ბზიფის ხეობაში. ამჟამად ამ მტაცებლის გავრცელება საქართველოში ძალზე შემცირებულია. ერთეულების სახით (თოვლზე ნაკვალევების მიხედვით) იგი შემორჩენილია კავკასიონის ქედისა და მისი განშტოებების მიუწვდომელ

ადგილებში, აფხაზეთისა და ლაგოდების რაიონის უღრან ტყეებში, კავკასიონის ცენტრალურ უბანში. 1950 წელს ჯიქი მოკლეს ზნაურის რაიონში სოფელ განთიადის მახლობლად, მეორე ეგზემპლარი უფრო მოგვიანებით, 1954 წელს მოკლეს ზედაზნის ტყეში. 1948-1955 წლებში ჯიქის კვალი ახალ თოვლზე ნახეს ლაგოდების ნაკრძალის სუბალპურ ზონაში, 1970 წელს მთათუშეთში, 1977 წელს — ალაზნის



ბილიკები,
ფერდობები მზიანები,
ყვავილები —
მარგალიტის ცვრიანები,
ჩიტუნები —
აბრეშუმის ფრთიანები.
მთის კალთები —
გადახლართულ გზიანები...
იმერეთო, შენ გიმღერის
ჩემი გული,
მკერდში ანაფრთხილები.

ლალი ყავალაშვილი,
ჭიათურა, ზედაუბნის საშუალო
სკოლა, X კლასი.

ჩემი სოფელი

მე მიყვარს ჩემი სოფელი,
გორებიანი, ხალასი,
მისი კამკამა ჰაერი,
მისი ბუნება ლამაზი.
იქით — ცხენისწყლის მხუილი,
აქეთ — ჩიტების ჟღერტული,
ტანაშოლტილი ხეები,
მათი საამო ჩურჩული.

ლელა ხურცილავა,
თბილისის 160-ე საშუალო
სკოლა, V კლასი.

ჯიხვის სიკვდილი

რიჟრაჟზე გავარდა ტყვია —
მთაში ხმა გაისმა ავი;
საწყალ ჯიხვს აღმოხდა კვნესა,

ჩუმი და შემზარავი.
გაიქცა ტირილით ჯიხვი,
გზადაგზა ლაფავდა სულს
და მწვანე მდელოზე ბილიკს
ტოვებდა სისხლით მორწყულს.
ანაზღად მუხლებში იგრძნო
სხვაგვარი სისუსტე, დაღლა,
ჯერ შედგა ფრიალოს ქიმზე,
მერე კი დაცურდა დაბლა.
...იწვა საცოდავი „მშვიდად“,
თვალეები ჰქონდა სველი,
იწვა მოთიბული უღვთო,
უწყალო სიკვდილის ცელით.

გარდია გველგბიანი,
თბილისის 67-ე საშუალო
სკოლა, VIII კლასი.

**ზამთარა
კული
პოიჩნია**

დაღვა სუსხიანი ზამთარი. ბუნე-
ბამ ფერი იცვალა: ზაფხულში თუ
ჭრელი იყო, შემოდგომაზე ჯერ გა-
წითლდა, მერე გაყვითლდა, ახლა კი,
ზამთარში, ერთიანად გათეთრდა. ჩი-
ტები აღარ ჟღერტულდებენ, მარტო
ბელურები თუ აწივწივდებიან ქა-
ლაქში.

მაგრამ მალე ზამთარმაც იგრძნო,
რომ წყალი შეუდგა. შეშინდა: ეტ-
ყობა, გაზაფხული მოდისო. დაჰკ-
რა ჯადოსნური კვერთხი და იხმო



თამარიკო სინარულიძე,
თბილისის მე-2 ექსპერიმენტული
სკოლა, 11 წლის.

თავისი ნაზირ-ვეზირები: თოვლი,
ყინვა, სისინა ქარი... რამდენიმე
დღეს იბობოქრა, მაგრამ მერე ძალ-
ღონე გამოეღია და იძულებული
შეიქნა სამეფო ტახტი გაზაფხული-
სთვის დაეთმო.

ნინცო ჯიბლაძე,
თბილისის 1-ლი ექსპერიმენტული
საშუალო სკოლა, II კლასი.

სათავეში, სპეროზის მთაზე.

საერთოდ ჯიქი ბინადრობს მალა-
ლი მთის ტყის მასივებში და სუბ-
ალპურ ბალახნარებში, თუმცა ამჟა-
მად ტყის მასივებისა და სუბალ-

პურ-ალპური საძოვრების სამეურ-
ნეო მიზნით გამოყენების გამო მისი
საცხოვრებელი გარემოს ბუნებრივი
პირობები შეიცვალა.

ჯიქი ადვილად აღის ხეზე, აქ

იგი ისვენებს და აქედანვე უთვალ-
თვალეებს მსხვერპლს. ნადირობს
ჩასაფრებელი ან მიპარვით. საერ-
თოდ უფრო აქტიურია ღამით, თუმ-
ცა არც დღისით ნადირობას ერი-
დება.

ბუნებაში ჯიქის კონკურენტად
ითვლება ყველა სახის დიდი ზომის
მტაცებელი ნადირი: მგელი, ფოც-
ხვერი, დათვი.

წარსულში ინტენსიურმა ნადირო-
ბამ, ბუნებრივი ადგილ-სამყოფე-
ლის სამეურნეო მიზნით გამოყენე-
ბამ, შემცირებულმა საკვებმა ზაზამ
ჯიქი გადაშენებამდე მიიყვანა. სწო-
რედ ამიტომ საქართველოში მასზე
ნადირობა კანონით აკრძალულია.





კარგია კვირადღე. რაისაც კარგ გუნებაზეა. მამ რა იქნება, გარეთ ხომ ზამთარია, მზეზე ბრჭყვიალებენ ფიფქები და იაკოვლევიც სადაც არის მოვა. მოვა თავისი ბოხოსა ქუდიოთ, კურტკაში და თექეში გამოწყობილი. წარბები მთლად შეფიფქული ექნება. ვითომ ჰაერზე გავლენ სასეირნოდ, ტბაზე კი გასწევენ. ვერავინაც ვერ მიხვდება. რაისას მკაცრად აუკრძალებს ტბაზე წასვლა, ყინულზე სეირნობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ამ სოფელში საოცარი ტბაა. იმდენად მარილიანი წყალია, რომ ზამთრობით არ იყინება. ეს ჩვეულებრივი, საჭმელი მარილი კი არ არის, ქიმიურია. ტბის ნაპირზე დიდი ქარხანაა, ამ მარილს ამუშავებს. ამბობენ, რომ დიდი ხნის წინათ, მილიონი წლების იქით, ამ ადგილზე დიდი ოკეანე ბობოქრობდა. შემდგომ ოკეანემ უკან დაიხია და მის ადგილზე პატარ-პატარა, ამ ტბის ოდენა ტბორები დარჩა, თუმცა ამ ტბორების მეორე ნაპირს თვალს ვერ გადააწვდენ.

ზამთრობით ტბა მხოლოდ ნაპირთან იყინება, სადაც წყალი თხელია. ყინული მყარია და სქელი, მაგრამ ხშირად ხდება, რომ ვეება ყინული ადგილს მოსწყდება ხოლმე და ქარის წყალობით მთელ ტბაზე მოგზაურობს.

იაკოვლევა, რაისასგან რომ გაიგო, ტბაზე ამ ყინულებით სეირნობენო, მაშინვე ისა ჰკითხა:

- საშიში არ არის?
- საშიში რომელია! - უდარდელად მიუგო რაისამ და შესთავაზა: - წამო, გინდა ვისეირნოთ?
- რა საჭიროა? - შეიცხადა იაკოვლევა - აუტკივარი თავი რაზე ავიტკივო?
- მშიშარა ყოფილხარ! - უთხრა რაისამ.

- რაკი ასე ძალიან გინდა, იყოს ნება შენი, - უხალისოდ დაეთანხმა იაკოვლევი. რაისა არაფრის დიდებით არ მოინდომებდა ყინულით სეირნობას მარტო, მაგრამ იაკოვლევთან ერთად არ ეშინოდა. იმის გვერდით ცუდი არაფერი მოხდებოდა.

იაკოვლევი ამათ სკოლაში წელს გადმოვიდა. მისი ოჯახი სვერდლოვსკიდან გადმოსახლდა, მამამისი ქარხნის მთავარი ინჟინერია. პირველ ხანებში იაკოვლევი არავის მოსწონდა კლასში. რალცნაირად იქცეოდა. ყველას მეტისმეტი თავაზიანობით ესაღმებოდა, ისე კი არა, უბრალოდ, სალამიო, უსათუოდ გაჭიმავდა „გამარჯობათ“!

ერთხელ, შესვენებაზე, რაისამ ხმამაღლა, ყველას გასაგონად ჰკითხა: - იაკოვლევი, შენ არასოდეს არა ხარ მოწყენილი?

იაკოვლევა აათვალ-ჩაათვალაიერა რაისა და ვითომც ვერ მიუხვდაო მზაკვრობას, მიუგო:

- მაინც, რა გაგებით?
- აი, თუნდაც გაკვეთილებზე.
- ხდება ხოლმე.
- მაშინ ყველა საგანში ხუთიანს როგორ იღებ?
- პრინციპისათვის.

რაისა ვერ მიმხვდარიყო, როდის ასწრებდა იაკოვლევი ყველაფერს. ხუთებზე სწავლობდა, გიტარაზე უკრავდა. ახლა რამდენი წიგნი ჰქონდა წაკითხული. კარატეშიც ვარჯიშობდა.

პირველად რომ ესტუმრა რაისა, კარი დედამისმა გაუღო, ოთახში შეიყვანა და უთხრა:

- აი, აქ ჩამოჯექით, ახლავე გავიგებ, მალე განთავისუფლდება ჩემი ბიჭი თუ არაო.

გვერდით ოთახიდან უცნაური, ერთი და იგივე შექახილი ისმოდა. ბოლოს ვიღაცამ ხმამაღლა შეჰყვირა: იიიიი - აი!

იაკოვლევი თეთრებში გამოწყობილი გამოვიდა ოთახიდან. მოკლე შარვალი და კურტკა ეცვა. ფენდაფენ გამოჰყვა მამაც. როგორც ორი წვეთი წყალი, ისე ჰგავდნენ ერთმანეთს.

იაკოვლევის ოთახში მთელი ერთი კედელი სარკეს ეჭირა.

- რად გინდა ამოდენა სარკე? - ჰკითხა რაისამ.

- სავარჯიშოდ. კარგად უნდა დავინახო ჩემი თვალების გამომეტყველება.

- რა საჭიროა? - მტკიცე გამოხედვა უნდა გამოვიშაო. საწყლად მომზირალი ადამიანი ვერასოდეს გაიმარჯვებს.

- რატომ ყვიროდი?

- ამ ყვირილს „კიაი“ ჰქვია, დარტყმის ძალას ადიდებს. - და მოსდგა იაკოვლევი საოცარი ამბების მოყოლას უდიდეს მასწავლებელ ბოდენდარმზე, შოლინის მონასტერზე, სადაც ბერ-მონაზვნები კარატეს სელოვნებას ეუფლებოდნენ, იმაზე, თუ წინაპარი დიდოსტატები თითის ერთი დარტყმით, როგორ ამარცხებდნენ მოწინააღმდეგეს, როგორ მიდიოდნენ სილაში და კვალს არ ტოვებდნენ, როგორ ესმოდათ ზურგსუკან მოლაპარაკე ჭიანჭველების საუბარი.

- მართალია, ეს ცნობები დადასტურებული არ არის, - თქვა იაკოვლევა. - ამათგან უმრავლესობა ლეგენდაა...

რაისამ მაგიდიდან რალც რთული სახელწოდების წიგნი აიღო.

- შენია?

- ჩემია. მათემატიკური ოლიმპიადისათვის ვემზადები.

- მოასწრებ კი ამ წიგნის წაკითხვას?

- ვეცდები.

- გაკვეთილებს როდისღა ამზადებ?

- მე გაკვეთილებს არა ვსწავლობ.

— მაშ, ხუთიანებს როგორ იღებ?
— გაკვეთილებზე ყურადღებით ვზივარ, ვიმახსოვრებ.

— ალბათ, თავისუფალი დრო სულ არ გრჩება.

— რა გაქვს მხედველობაში?

— როცა არაფერს აკეთებ, მაგალითად, საოცნებოდ, ქუჩაში სახეტილოდ.

— თუ გინდა, წავიდეთ სასეირნოდ! — მოულოდნელად შესთავაზა იაკოვლევი. — სწორედ ახლა მაქვს თავისუფალი დრო.

ეს იყო შემოდგომაზე. ყვითელფოთოლა ოქტომბერი იდგა. ამის მერე ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს რაისა და იაკოვლევი.

...ჭიშკარი აჭრიალდა. რაისამ სწრაფად გადასწია ფარდა და დაინახა, ეზოში სავეუშკა შემოქანდა. ეს ვილას ტიკი-ტომარაა?

სავეუშკა რაისას მეზობლად ცხოვრობდა, ორი სახლის იქით. საბავშვო ბაღში ერთ ჯგუფში იყვნენ, პიონერთა ბანაკშიც, როგორც წესი, ერთ რაზმში აღმოჩნდებოდნენ ხოლმე, სკოლაშიც ერთ კლასში სწავლობდნენ. როცა სალაშქროდ ან ბანაკში მიდიოდნენ, სავეუშკას დედა ეტყოდა ხოლმე:

— რაისა, შენი იმედი მაქვს, ყურადღება მიაქციე სავეუშკას.

დილაობით, სავეუშკა რაისას ფანჯარას კენჭს ესვროდა ხოლმე. ზამთარში კი — ყინულის პაწია ნატეხს. რაისა გამოდიოდა და ხელჩაკიდებულები ერთად მივლიდნენ სკოლაში.

მეხუთე კლასში რომ გადავიდნენ, სავეუშკამ რატომღაც დაიმორცხვა. რაისა პირველად ვერა ხვდებოდა, რად წითლდებოდა იგი, როცა ვინმე თანაკლასელთაგანი შეხვდებოდათ.

მეექვსე კლასის მერე მთელი ზაფხული ვეღარ ნახეს ერთმანეთი — დედამ სავეუშკა ყირიმში წაიყვანა. სექტემბერში კი მთლად გაუცნაურდა, რაისას ახლოს აღარ ეკარებოდა, შორიდან ქურდულად უყურებდა და ოხრავდა.

რაისა იაკოვლევს რომ დაუმეგობრდა, სავეუშკა მათ მურმანის ეკალივით ეჩხირებოდა. აი, ისინი ერთად მიდიან სახლში, სავეუშკა ფენ-

დაფენ მიჰყვებათ. განმარტოვდებიან სადმე სასაუბროდ, სავეუშკაც იქ დაერჭობა სარივით და პირდაღებული ყურს უგდებას. ხომ ვერ გააგებენ?

სავეუშკა, რა თქმა უნდა, უცნაური ბიჭია, სულ თავისთვის ღიღინებს. საერთო რვეულები გავსებული აქვს სანოტო ნიშნებით — მუსიკას წერს. ვინ იცის, იქნებ სახელოვანი მუსიკოსი გამოვიდეს? სახელოვანი ადამიანები კი უსათუოდ თავისებურად უცნაურები არიან. სავეუშკას კი რამდენიც გნებავთ, იმდენი უცნაურობა სჭირს. თითი რომ დაანახვო, იცინის, მართლა სასაცილოზე კი მხრებს იჩეჩავს და მორცხვად იღიმება.

სავეუშკა სკოლის სიამაყეა. მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებაზე დიპლომებით, სიგელებითა და ყველანაირი საჩუქრებით აჯილდოებენ. სლავგოროდშიც არა ჰყავს ბადალი. აბსოლუტური სმენა აქვს.

ერთხელ ხმა დაირხა, სავეუშკას ისე დაუკრავს მეთექვსმეტე კლასში, რომ დაარბია, როცა დაარბია მყოფ დედებს უტირნიათ.

სექტემბერში სავეუშკამ რაისას საიდუმლოდ გაანდო, სიმფონიას ვქმნიო, და თან დაამატა:

— ერთ ადამიანს ვუძღვნი, თუ იცი, ვისა?

— ვისა და მე! — მიუგო რაისამ.

...სავეუშკა დაუკაკუნებლად შემოვიდა.

— გაუ! — დაიძახა და მიპატიჟებას არ დაელოდა, ისე მოიხსნა კისრიდან შარფი, თექები გაიხადა და იქვე, რაისას მამის საშინაო ჩუსტებში წაყო ფეხი. სამზარეულოდან დედა გამოვიდა.

— გამარჯობა, საველი! კარგ დროს მოხვედი — ეს-ეს არის პელმენები ამოვყარე.

— დიდებულია, — მიუგო სავეუშკამ, დილას აქეთ პელმენებზე ვოცნებობ. დედამ გაუცინა. სავეუშკა უყვარდა.

— რას უდგენარ? გადმოადგი ფეხი. — ისეთნაირად ჩაიბურტყუნა რაისამ, რომ სავეუშკას ადგილზე, სხვა იქვე გაქრებოდა. სავეუშკამ კი არაფრად ჩააგდო რაისას ცალყბა მიპატივება.

— საქმე გაქვს, თუ ისე მოხვედი?

— შუბლი შეიკრა რაისამ. — დღე საქმე გაქვს, ჩქარა მითხარი, წასასვლელი ვარ.

— სად მიდიხარ?

— ცხრა მთას იქით!

— მე თქვენ გუშინ გნახეთ! — წამოაყრანტალა სავეუშკამ.

— სად? — ეჭვით ჰკითხა რაისამ.

— სანაპიროზე რომ დასეირნობდი.

— ჯამუშო, გვითვალთვალედი?

— კარგი, რაისა, — ამოიოხრა სავეუშკამ. — მალე წავალ — პელმენებს შევჭამ და...

ის იყო სუფრას შემოუსდნენ და იაკოვლევიც მოვიდა. პელმენებს არაფრის დიდებით პირი არ დააკარა. სავეუშკა რომ აქ არ მჯდარიყო, ასეთ მანჭვა-გრეხას არ დაიწყებდა.

— ეს ვან კლიბერნი მალე წავა? — გადაუჩურჩულა რაისას. — ნახე, თუ ეგეც არ აგვეკიდოს.

რაისა და იაკოვლევი სოფლის შარაზე მიდიოდნენ. სავეუშკა კი, როგორც პატარა ბიჭი, ხტუნვა-ხტუნვით წინ მიუძღვოდათ და თან ფეხით ყინულის ნატეხს მიაწვრიალებდა. მერე შემობრუნდა და შესძახა:

— დაიჭი, იაკოვლევი!

სავეუშკას ყინულის ნატეხზე ფეხი აუცდა და ჰაერში იმისმა თექამ შეინავარდა. ვიდრე იპოვა, ასკინკილა დახტუნაობდა.

სოფელს რომ გაცდნენ, სთხოვა:

— მოდი, სიმღერა შემოვძახოთ, და წამოიწყო: „თუ ჭაბუკი მეუშინდა მთებს, თუ დამფრთხალი დაემეგება ძირს, როცა ყინულს დააბიჯებს ფეხს, მოსხლტება და აყვირდება მყის...“

რაისამ და იაკოვლევიც მხარი არ აუბეს, მაგრამ ამან აინუნშიც არ ჩააგდო.

სოფლიდან ტბამდე კილომეტრნახევარი იყო. მონამქერებულ ბილიკზე ჯერ არავის გაველო. მშვიდად შეიძლებოდა ყინულით სეირნობა. ზედ ნაპირთან იაკოვლევიცა ორი გრძელი, მაგარი ჭოკი გამოათრია.

— მეც ხომ დამსვამთ ყინულზე? — იმედიანად ჰკითხა სავეუშკამ.

— მეცოდები, ბილ, — ჩაიციხა იაკოვლევიც, — მაგრამ ბოლივარი სამს ვერ გაუძლებს.



ტბასთან ციცაბო მხრიდან ჩაცურდნენ დამსხდრები. სავეუშკა სულ კოტრიალთ ჩავიდა თოვლში ამოვანგლული.

თურმე ტბაზე მარტო ესენი არ იყვნენ. აქვე იყო მცირეწლოვანი ხულივანი ანტონი. ხულივანი არც კი ეთქმოდა, უფრო ნაცნობობა ჰქონდა ხულივანებთან. ისინი აიძულებდნენ ეგროვებინა ცარიელი ბოთლები, ჩაებარებინა და ფული მათთვის მიეტანა პაპიროსის საყიდლად.

ანტონი უკვე მომცრო ყინულზე შემდგარიყო და მარჯვედ მიაცურებდა სათხილამურო ჯოხით.

— სად მიძვრები? — შეუტია იაკოვლევიმ სავეუშკას, — შენთვის ჭოკი აღარ არის.

— ნიჩაბს ავიღებ! — სავეუშკამ დათოვლილ ნავზე მიანიშნა.

— რას ამბობ, ნავში ნიჩაბს ვინ ტოვებს?

— აგერა, ფარდულშია, თვალის დახამხამებაში მოვიტან.

— ნიჩაბი მოკლეა, გითხრეს, ნუ მოძვრები! რამე რომ მოხდეს, წადი და უყარე კაკალი.

— თქვენ ისეირნოთ და მე აქ ვიკავავო? ეს რა ამხანაგობაა?

— შენც ადექი და ირბინე, გახურდები.

იაკოვლევი დიდხანს გულმოდგინედ არჩევდა ყინულს. ყველანაირი იყო: დიდიც, პატარაც, მრგვალიც, ოვალურიც, სამკუთხედიც — ნება-ნება, ბრმა კნუტებივით ეხეთქებოდნენ ნაპირს. როგორც იყო, შეარჩია, ზედ ასტა, თოვლი დატკეპნა და მხოლოდ ამის მერე დართო რაისას შედგომის ნება.

— აუშვით ღუზა! — დაიყვირა ხავუშკამ და გემის საყვირივით დაიბღავლა.

რაისა და იაკოვლევი შეწყობილად დაეყრდნენ ჭოკებს. დამძიმებული ყინული ნელა დაშორდა ნაპირს და თანდათან მოუმატა სიჩქარეს.

ამ საქმეში მთავარია ნაპირიდან შორს არ წახვიდე. ჭოკი ფსკერს უნდა ეხებოდეს, რომ ყინული წარმართო.

რაისას ბევრჯერ უნახავს, როგორ კეთდებოდა ეს, მაგრამ ყინულით მარტოს არ უსვირნია. ისე კი ძა-

ლიან უნდოდა დარწმუნებულიყო თავის თავში, რომ არ შეშინდებოდა განსაცდელის ყამს? ცხოვრებაში ხომ ყოველ ადამიანს უხდება რაიმე სიძნელის გადალახვა, რისთვისაც ის მზად უნდა იყოს.

სიცივეს რომ არ აეტანა, სავეუშკა ნაპირზე გარბი-გამორბოდა. რაისა ხალისიანად კისკისებდა. ყინული უკვე საკმაო სიჩქარით, კრეისერივით მიდიოდა. იაკოვლევი ისე მარჯვედ მართავდა, თითქოს მთელი სიცოცხლე ეს საქმე ეკეთებინოს, როგორც შორეული ციმბირის მდინარის შეუპოვარ მეტივეს.

რაისას ქუდქვემოდან ოქროსფერი კულულები გამდმოჰყოფდა და სავეუშკას ეჩვენებოდა, რომ აი, ახლა ათინათინი მოსწყდებოდა.

— რაისა, — დაუძახა სავეუშკამ, — მეც დამსვით.

— დაგვესენ! — მოესმა პასუხად. სავეუშკამ პირი იბრუნა და თავიანთი გაკვალულ ბილიკით შინისაკენ გასწია.

უსებ, ყვირილი შემოესმა:

— ჰე, ჰეი, მიშველეთ!

სავეუშკას გულმა უგრძნო, ხუმრობა არ იყო, მაშინვე ნაპირისკენ გაიქცა.

ანტონმა ყინული ვერ შეაჩერა, თხილამურის მოკლე ჯოხი ფსკერს ვერა სწვდებოდა. ყინული კი ქარმა ნაპირს მოაცილა.

რაისა და იაკოვლევი ჭოკებს ჩააფრინდნენ და თავიანთი ყინული ანტონისაკენ მიაგდეს, მაგრამ ოცდაათი მეტრის მერე შეჩერდნენ, — იქით აღარ შეიძლებოდა.

— წყალში ჩახტი, — გასძახა იაკოვლევიმა.

ანტონი ხელებს ასავსავებდა და ყინულზე აქეთ-იქით აწყდებოდა.

— ცურვა არ ვიცო! — ტიროდა ბიჭი.

— გადმოხტი, ყეყეჩო! — რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიდრიალა იაკოვლევიმა. — აქ წყალი თხელია.

ყინული ქარს თანდათან მიჰქონდა. რაისა და იაკოვლევი ნაპირს მიადგნენ, სავეუშკა შიშისაგან ცანცახებდა, ამის შემყურე რაისაც აიტანა შიშმა.

— აქ დამელოდეთ! — ბრძანება

გასცა იაკოვლევიმა. — მეც სოფელში ვავიქცევი, იქიდან ქარხნისკენ წავიქცევი და მოტორიან ნავს გამოგზავნიან.

— ვერ მოასწრებ, — კბილს კბილზე აცემინებდა სავეუშკა. — სანამ ნავი მოვა, ეს დაიხრჩობა. შეხედე, როგორი ქარია, ყინულს გადააბრუნებს.

— სხვა გზა არ არის, ვავიქცი.

— მოიცა, — სწვდა სავეუშკა იაკოვლევის სახელოში, — ვერ მოასწრებ, უნდა გავცუროთ.

— რითი?

— ნავით.

— რას მიედ-მოედები, ეგენი უვარგისები არიან.

— უნდა გავცუროთ! — დაიყვირა სავეუშკამ, — ნავით ხუთ წუთში მივაღალთ.

იაკოვლევი სავეუშკას საყელოში ჩაავლო ხელი და კატის კნუტივით შეაჯანჯღარა.

— ერთი ფენი გადაგიდგამს ნავისკენ, აქვე გაგაქრობ! რაისა, მიხედე ამას!

— დაიხრჩობა, — წამოიტირა რაისამ, — ვერ მოასწრებ.

— გინდა რომ სამივე დავიხრჩოთ? — გული მოუვიდა იაკოვლევის, — თუ არ გინდა, ეს ლენჩი ნავთან არ მიუშვა.

იაკოვლევი გაიქცა, ბუდლოზერივით მიარღვევდა თოვლს. ანტონი ქარმა სამას მეტრამდე დააცილა ნაპირს. რაღაცას ყვიროდა, მაგრამ ქარს სხვა მხარეს მიჰქონდა იმისი ხმა.

ტბა ჩამუქლურჯდა, აიფოფრა. ნაპირის ყინულსაფარზე მსუბუქი ტალღები შემოჯარდნენ.

სავეუშკა ნავს ეცა და, ძაღლმა რომ იცის სწრაფი თხრა, ისე დაუწყო თოვლს ამოყრა. რაისამ ფარდულიდან ნიჩბები მოარბენინა. სავეუშკა დაეჭიდა შეყინულ ნავს, მაგრამ ძვრა ვერ უყო. მაშინ ორივენი, რაც ძალა და ღონე ჰქონდათ კიროს დააწვინ და თვალის დახამხამებაში წყალში შევიდნენ. სავეუშკას ნიჩბები ეჭირა. ნავმა კირო აიქნია და გაცურდა, უკან სტოვებდა შავსხეფებიან კვალს.

ჭრიალებდნენ შეყინული ნიჩბის პალოები. აჩქარებულ ნიჩბებსქვემოდან მარაოსავით ამოფრქვეული მხეფები ზურგებზე, ქუდებზე ეცემოდ-



ნენ მათ და იქვე იყინებოდნენ. სა-
ვეუშკას ფეხებქვეშ ნავის ფსკერზე
წყალი ატყაპუნდა. იაკოვლევი მარ-
თალი იყო, ნავს გასდიოდა.

— რაისა, ამონაპე წყალი, — უთ-
ხრა სავეუშკამ.

რაისამ სკამსქვემოდან აქანდაზი
გამოათრია და საქმეს შეუდგა. ძა-
ლიან ეშინოდა. სიზმარშიც ასე შინ-
დებოდა ხოლმე. ვიღაც რომ მოს-
დევს, ვითომ მირბის და ვერც მირ-
ბის, ნაბიჯს ვერ ადგამს, ფეხები
უხევდება, თითქოს თავისი არ იყოს.
თვალწინ წარმოუდგა დედის სახე—
— კეთილი და ცოტა აფორიაქებული.

სავეუშკა მოტრიალდა და ანტონი
დაინახა — იგი, როგორც ჯამბაზი მა-
ვთულზე, ხელებით იცავდა წონასწო-
რობას, ცდილობდა დაემაგრებინა ყი-
ნულზე თავი, უფრო სწორად იმ ყი-
ნულიდან დარჩენილ პატარა ნატეხ-
ზე, ჩანს ყინული დაშლილიყო.

სავეუშკამ სწრაფად მოუსვა ნიჩბე-
ბი, ყოველ წამს უკან იყურებოდა,
ფრთხილობდა, მხარი არ შესცვლო-
და.

დარჩა ხუთი მეტრი.

სამი მეტრი.

ორი.

სავეუშკამ მკვეთრად დაამუხრუჭა,

ყარა და რაისას დახმარებით ანტონი
ნავში ამოათრია. ვერ შეაშინიეს რო-
გორ გადაცურდა ხელთათმანები გა-
ლიპული კიჩოდან და ტბის ფსკერ-
ზე ჩაეშვა.

სავეუშკამ პალტო გაიხადა, ანტონი
გამოახვია და ისევ ნიჩბებს მიუბ-
რუნდა.

რაისამ ანტონი გვერდით მოისვა.
მარცხენა ხელი მაგრად შემოხვია,
მარჯვენათი კი ნავიდან წყალს
ღვრიდა, რომელიც თანდათან უფრო
მატულობდა.

სავეუშკა ძალიან ცდილობდა, მაგ-
რამ ნავი მაინც ნელა მიიწევდა წინ.



სავეუშკამ სიმღერა წამოიწყო: „თუ
მეგობარი უცებ აღმოჩნდა“... რაისა
შეერთა, ჭკუაზე ხომ არ გადავიდაო.
სავეუშკა ვერ გრძნობდა, რომ ყურე-
ბი და ცხვირი მოეყინა. წყლიდან
ატაცებით ამოჰქონდა ნიჩბები და
ყურში ვიღაცის უცხო ხმა, გამამხ-
ნევებელი სიტყვები ჩაესმოდა: „მა-
შასაღამე, შენს გვერდით უცხოა,
შენ იმას კი ნუ გაუბრაზდები, შეე-
ჯიბრე.“ — მარჯვენა მხარეს დაიჭი-
რე! — დაუყვირა რაისამ.

ნავის შორიანხლოს თეთრად მოჩა-
ნდა განმარტოებული პატარა ლაქა.

რომ ანტონის ყინულის ნაჭერს არ
დაჯახებოდა, ანტონმა კი თავი ვერ
შეიმაგრა, ყინულს უბიძგა და ნავი-
საკენ გადმოხტა, მაგრამ ვერ მოზო-
მა, გალიპულ ქიმზე ფეხი გაუსურდა
და წყალში ჩადგაფუნდა. კორპივით
ისევ უკან ამოხტა და ნავის გვერდს
ჩააფრინდა. სავეუშკას უნდოდა ანტო-
ნისათვის იდლიებში ჩაეკიდა ხელი,
მაგრამ ხელთათმანები უშლიდა,
მამის ხელთათმანები ეკეთა, ტყავი-
სა, ბეწვგამოკრული. ისეთი თბილი
იყო, ყინვა ვერაფერს აკლებდა. სა-
ვეუშკამ ხელთათმანები კიჩოზე მი-

გრძნობდა, რომ ძალა ელეოდა, საგა
იყო დაეცემოდა და ველარც ადგებო-
და. ცივი ჰაერი ნემსებივით ესობო-
და ფილტვებში, თვალეში ოფლი
ელვრებოდა.

ბოლოს სავეუშკამ ფარ-ხმბილი და-
ყარა და ატირდა. გონებას ბინდი გა-
დაეკრა. თითქოს სიზმრად ხელადა
რაისას და ანტონის პატარა, მოკ-
რუნჩხულ სხეულს. ხელები აღარ
ემორჩილებოდა. ნეტავ რამდენი დრო
გავიდა, რაც ნაპირიდან წამოვიდნენ?

აი უკვე ველარ შესძლო ნიჩბების
მოსმა — ხელები დაეკრუნჩხა. აი, ახ-



ივანე კოტორაშვილის ბიოგრაფია

ივანე კოტორაშვილი XVIII საუკუნის სახალხო გმირია. იგი მდინარე ივრის ხეობაში, სოფელ კარახში აღიზარდა. ბავშვობიდანვე ვარჯიშობდა იარაღის ხმარებაში. ჭაბუკობაში შესული ცხენზე ჯირითსა თუ ფარიკაობაში ტოლს არავის უდებდა. ავი დრო იდგა მაშინ საქართველოში, ლეკთა თარეში გახშირებულიყო. მაგრამ ივანეს სოფელსა და სანახებში ლეკები ვერ გაიჭაჭანებდნენ.

ლა კი გადაყირავდება ნავი.

ამ დროს რაღაც ხმაური გაისმა, სავეშკამ ძლივს მოაბრუნა თავი, ციცაბო ნაპირიდან თავპირისმტვრევით მოდიოდა ხალხი, ქარხნის მხრიდან მოტორიანი ნავის გუგუნი აღწევდა.

...ნაპირამდე ორიოდე მეტრი დარჩა, ნავში წყალი შეეარდა. აქ წყალი თხელი იყო, მაგრამ სავეშკას წამოდგომა აღარ შეეძლო. იგრძნო როგორ ეყლაპებოდა მომწარო მლაშე წყალი.

თავდაპირველად მხოლოდ ბუნდოვნად ხედავდა ხან ვარდისფერ, ხან თეთრ ლაქებს. შემდეგ თანდათან გამოიკვეთა რაისას დედის სახე... მერე უცებ ნათლად დაინახა თეთრი კედლები, თეთრი ფარდები, ექიმების თეთრი ხალათები. საავადმყოფო.

ბრძოლაში ის თოფ-იარაღის თანაბრად იფნის კომბალსაც ხმარობდა. ივანე, როგორც მხედარი, მეფე ერეკლეს ლაშქარში იბრძოდა და გამბედაობისა და გულადობის გამო გამორჩეულ მებრძოლად ითვლებოდა.

ივანე კოტორაშვილის სახელი ისტორიას არ შემოუწინა, მაგრამ ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ არ დაივიწყა სასიქადულო გმირი.

ივანე ერთობ შავგვრემანი ყოფილა. მის პირზე ღიმილი არავის უნახავს, გაუცინარი კაცი იყო, მაგრამ ყველას უყვარდა.

მტერთან გამოჩენილი გულადობისა და გამირობისათვის ივანეს მეფე ერეკლესაგან ნაბოძები ჰქონდა სამი ხალათი, რომლებითაც შეეძლო მშვიდობიანობის დროს სოფელ-ქვეყანაში გამოჩენილიყო, მაგრამ მაინც სულ მუდამ ხამ ტანსაცმელს ატარებდა თურმე.

ერთხელაც, როცა მეფე ერეკლე თავისი ლაშქრით ყვარლის მთაზე, კუდიგორაზე იმყოფებოდა, იგი სამეფო-სალაშქრო კარვიდან გამოვიდა თურმე და ივანე იხმო: — ივანე, რატომ არ იცვამ ნაბოძებ ხალათს?

რაისა ვერ იგონებდა, რა მოხდა? აქ რად იყო? თვალწინ მხოლოდ წყალი და თეთრი მხეფები ედგა. შიში იპყრობდა.

გაიარა რამდენიმე დღემ, რაისას ყველაფერი გაახსენდა. ანტონის დედა შემოვიდა, ტიროდა, ჩემო შვილოო, სულ ასე უძახა. ანტონი გვერდით პალატაში წევს და აღბათ მალე ნახავთ ერთმანეთსაო.

იაკოვლევი არ მოდიოდა. დედა შეჰპირდა — ხვალ მოვაო.

იაკოვლევი მოვიდა, ფორთოხლები მოუტანა. მცირე ხანს ისაუბრა. უამბო, კლასის ახალი ამბები, რა წიგნები წაიკითხა, კლუბში რა ფილმები გადიოდა.

ერთი კვირის შემდეგ სავეშკამაც ინახულა, ხელები დოღბანდით ჰქონდა გადახვეული.

— ხელებზე რა დაგემართა? — ჰკითხა რაისამ.

ივანემ გაბედულად უპასუხა: ნაბოძები ხალათები შენახული მქონდა. თქვენი სამსახურის მოსაგონებლად. აბა, მე სულ ხევსუფებში დავძვრები, წუნკალ ლეკებს დავდევ და ვუშუავ და რა ხალათი გამიძლებსო.

ერთხელ თურმე ქართველთა ლაშქარი ისვენებდა. დალილ-დაქანცულ მებრძოლებს ჩასძინებოდათ, ივანეს კი არ ეძინა. სწორედ ამ დროს ქართველ ლაშქარს ლეკთა ჯარი დაეცა. ვიდრე ერეკლე თავის რაზმებს საბრძოლოდ გააწყობდა, ივანე ლეკებში გადაერია და კაფვა დაუწყო. ეს ერეკლემ თავისი თვალთ იხილა. ქართველთა ლაშქარმა მთლად მოსპო და გაანიავა მტერი. გამოჩენილი გამირობისათვის ახლა მეფემ ივანეს ოქროს ბეჭედი უწყალობა.

ლეკები ხშირად არაგვის ხეობამდე აღწევდნენ ხოლმე. ერთხელაც მტერი აჭაურ სოფლებს დაეცა, ბევრი ქალი, კაცი და ბავშვი ტყვედ ჩაიგდო და წინ გაირეკა. ილტობთან ლეკებმა შეისვენეს და მათი წესისამებრ ლოცვას შეუდგნენ. სწორედ ამ დროს წამოეწია მათ ივანე და ერთიანად გაულიტა, ტყვეებს ხელები გაუხსნა და მტრის აბჯარი

— აბა, შენ იცი, მალე გამოკეთდი, — სიტყვა ბანზე აუგდო სავეშკამ, ერთ ხანს გაყურდა და სიტყვა გააგრძელა: — რაისა, შეიძლება მე ველარ დავუკრა.


— რას ამბობ? — ხმა ჩაუწყდა რაისას, ბალიშში თავი ჩარგო და აქვითინდა.

სავეშკა ფრთხილად უსვამდა მხრებზე ხელს და აწყნარებდა.

— ნუ ტირი, რაისა, ვაივლის, ყველაფერი კარგად იქნება. სიმფონიას მაინც დაწერ, ბეთჰოვენი ყრუ იყო, მაგრამ მუსიკას მაინც ჰქმნიდა. ყველაფერი კარგად იქნება.

როცა იაკოვლევი მეორედ მოვიდა, რაისამ დაითხოვა.

— აღარ მოხვიდე.
— რატომ?
— იმიტომ, რომ, არ მოხვიდე, — უთხრა და კედლისაკენ იბრუნა პირი.



ჩვენთან მთელი პიონერული მუშაობის მთავარი წარმართველნი უფროსი პიონერები არიან, ყველგან და ყველაფერში იგრძნობა მათი როლი და პასუხისმგებლობა; ისინი უძღვებიან რაზემეულში სხვადასხვა კლუბებსა და საბჭოებს.

რაზემეულში მათი ადგილი პიონერთა ახალმა საკავშირო მარშმა კიდევ უფრო დააკონკრეტა, განსაზღვრა თითოეულის როლი.

უფროს პიონერებად მეშვიდეკლასელთა ხელდასხმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამ კარგი შედეგი გამოიღო. ისინი უფრო გააქტიურდნენ, მეტი პასუხისმგებლობა იგრძნეს.

შარშან, სანამ მეშვიდე კლასის მოსწავლეთა უფროსპიონერებად ხელდასხმის დღე დადგებოდა, ახლოს გავცვანი მათ ცხოვრებას. აღმოჩნდა, რომ რაზეში 5 პიონერი სწავლაში ჩამორჩებოდა; მეშვიდეკლასელები ხშირად იგვიანებდნენ სკოლაში, აცდენდნენ გაკვეთილებს, მასწავლებელს ხელს უშლიდნენ გაკვეთილების ნორმალურად წარმართვაში. რაზეში შევკრიბე, ჩვენ შორის გულახდილი საუბარი გაიმართა.

— უფროსი პიონერი სხვებისათვის კარგი მაგალითის მიმცემი უნდა იყოს; თქვენ უნდა შეგეძლოთ უხელმძღვანელოთ ინტერესების მიხედვით შექმნილ, ასაკით თქვენზე უმცროს პიონერთა სხვადასხვა გაერთიანებებს, ოქტომბრელთა ჯგუფებს... და აბა როგორ შეძლებთ, როცა თვითონ თქვენი საქმისათვის ვერ მოგივლიათ—მეთქი. პიონერები ჩაფიქრდნენ.

...იმ შეხვედრაზე უდისციპლინოთა ჩამოთვლა არ დამჭირვებია. თამაზი თვითონ წამოდგა:

— ამალია ხელმძღვანელო, ალბათ მე არ მაკურთხებთ უფროს პიონერად, არა?

— როგორ არა, მაგრამ იცოდეთ, ეს სახელი დიდ პასუხისმგებლობას დაგაკისრებს.

მეშვიდეკლასელთათვის უფროსი პიონერის წოდების მინიჭების



პიონერული აქტივის კლუბის მუშაობას ხელმძღვანელობს ნორჩ პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი, ნათელა ფაილოვა

რაზემეულში უფროსი პიონერების როლსა და ადგილზე, მათი მუშაობის გამომდინარეობა მოგიხსნათ რაინიზის გურჯაანის მ-17 საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი ამალია სურმაძე

რაზემეულის საბჭოს მთავარი დასაყრდენი—უფროსი პიონერები

შემდეგ თამაზს რაზემეულის საბჭომ თემურელთა წინამძღოლობა დაავალა.

სულ მალე რაზემეულის საბჭოს მორიგ შეკრებაზე თამაზი თავისი გეგმებით გამოცხადდა. სკოლის ყოფილი დამლაგებელი, პენსიონერი ნადია ბებო ძალზე მოხუცდა, მარტო ცხოვრობს, დახმარება სჭირდება.

იმ დღიდან, რაც თამაზს თემურელთა წინამძღოლობა დაეკისრა, ბიჭმა სწავლასაც მოუმატა და არც წესრიგი დაურღვევია; ისა და მისი მეგობრები, როგორც კი თავისუფალ დროს მოიხელთებენ, ნადია ბებოს კარმიდამოში ტრიალებენ.

ჩვენთან, უფროსი პიონერების ნადავებით, სკოლის მიკრორაიონში შეიქმნა სპორტული გუნდები „ავაზა“, და „მართვე“, გუნდებსაც თვითონ ხელმძღვანელობენ; ხოლო კახა ჯავახიშვილი, ამირან ყვირაღაშვილი და ლია ახიოშვილი არკადი გაიდარის დაბადების 80 წლისთავის შესახვედრად ამზადებდნენ უმცროს პიონერებს. მათ თავი მოუყარეს მწერლის ნაწარმოებებს, ახლა ეს წიგნები ყველა პიონერისათვის ხელმისაწვდომია და ყველამ წაიკითხა კიდევ ისინი. უფროსი პიონერების დახმარებით სკოლის ნორჩმა მხატვრებმა გაიდარის მოთხრობების მიხედვით შექმნილი ნახატების გამოფენა მოაწყვეს.

გაუგებრობაც ბევრი იყო. — უფროს პიონერებად ხელდასხმა მოხდება, მერე რა უნდა გავაკეთოთ? რა მოვიფიქროთ? — იკითხეს ერთხელ VII¹ კლსელებმა.

მათ საქმეზე მივანიშნეთ.

— ჩვენ თუ არ მივეშველეთ, პატარები როგორ შეძლებენ მძიმე ლითონის ნამსხვრევების ზიდვასო და შრომითი საქმეების ორგანიზატორებთან ერთად რამაზ ჯავახიშვილმა მთელი კლასი აიყოლია; მისი თაოსნობით რამდენიმე დღეში ნტონა ჯართი შეგროვდა.

შარშან სკოლას ახალი კორპუსი მიუშენდა, ეზოც კეთილმოეწყო, მაგრამ გასაკეთებელი ბევრი დარჩა, პირველ რიგში სპორტული მოედნები და სარბენი ბილიკები უნდა მოგვეწყოსრიგებინა, აქაც პირველი სიტყვა უფროსმა პიონერებმა თქვეს; რაც ივალდებულეს, შეასრულეს კიდევ; სკოლის ტერიტორიაც მათ გამწვანეს. ეზოში სკვერს ჩაუყარეს საფუძველი და სახელიც თვითონ დაარქვეს — „მზიური“.

ნორჩ დეკლამატორთა წრეს სკოლაში უფროსი პიონერი ლელა გაბიტაშვილი უძღვება, ისინი საინტერესო საღამოებსა და შეხვედრებს ატარებენ. როგორც ხედავთ, უფროსი პიონერები რაზემეულის სული და გული არიან.



ჩვენი


ფრთოვანი

მშობლიუნი

ადამიანი და ბუნება განუყოფელი ცნებებია. ერთად გატარებულმა ასიათასობით წელმა მკიდროდ მიგვაჩვენა მშობლიური დედამიწის ფლორასა და ფაუნასთან. ადამიანი, თუ იგი ბუნებას მოსწყდა, აუცილებლად კარგავს რაღაცას — სიკეთის, უშუალოების, სამართლიანობის, ხალისის საკმაოდ საგრძნობ ნაწილს. არადა, ბუნებისაგან მოწყვეტის

ადამიანთა რიცხვი, რომლებსაც სურთ შინ (განსაკუთრებით — ქალაქად, გარე სამყაროსაგან იზოლირებულ ბინაში) იყოლიონ ძალი თუ კატა, ზღარბი თუ კუ, თუთიყუში თუ კანარის ჩიტი. ყვავილებზე აღარას ვამბობ.

ყველაზე მეტად ბინას მინც



გალია
სუსტინისპარტიანი
ფრინველთაბინათვის

ფრინველები — მშობლიური თუ ეგზოტიკური, მგალობელი თუ დეკორატიული ჩიტები ამშვენებენ.

მოყვარულები უფრო მეტა ხალისით იმ ფრთოსნებს იგუებენ, რომლებიც მცენარეული საკვებით ხაზრდობენ და

საშიშროება, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის სწრაფ წინსვლასთან დაკავშირებით, დღით დღე იზრდება.

ამიტომ ვასაკვირი არ არის, რომ თანდათან მატულობს იმ

მაგარი ნისკარტი აქვთ. ესენი არიან ჩიტბატონა, ჭივჭავი და სხვები. მათი მოვლა შედარებით იოლია.

გაცილებით უფრო რთულია წვრილ, სუსტინისკარტიან ფრინველთა მოვლა (იადონი, ცისკარა და სხვები). რადგან ისინი იკვებებიან ჭიანჭველას კვერცხებით, ფქვილის მატლით და ნახევრად სველი საკვები ნარევით, რომელიც სწრაფად ფუჭდება. იმ ოჯახმა, რომლის ყველა წევრი მსახურობს ან სწავლობს და მოუცლელია, ამ სახეობის ჩიტები არ უნდა იყოლიოს.

როცა ამა თუ იმ ფრინველზე ჩვენს არჩევანს შევაჩერებთ, დგება დრო, ვიფიქროვოთ გალიის შერჩევაზედაც.

კანარის ჩიტის, მშობლიური წყნარი ფრინველების — ჩიტბატონას თუ ჭივჭავის, აგრეთვე ეგზოტიკური ჩიტიფიქრების ოჯახის წარმომადგენლების გალია ხისა უნდა იყოს (მავთულზე აგებული). თუ ნაწი მწერიკამია, სუსტინისკარტიანი ჩიტი უნდა შევიძინოთ, ბამბუკის წნელისაგან გაკეთებული გალია გამოგვადგება. თუთიყუში მთლიანად ლითონისაგან გაკეთებულ გალიაში უნდა ჩავსვათ, რადგან მას თავისუფლად შეუძლია ხის გალიის დამსხვრევა თავისი მაგარი ნისკარტით. ტორლონსა და მწერს კი, მაგალითად, ხის წნელებისაგან აგებული გალია შეეფერება, რომლის ჭერზედაც რბილი ქსოვილი უნდა ავაკრათ.

გალიის ზომები საკმარისი უნდა იყოს საიშისოდ, რომ ფრინველმა ხარისიდან ხარახაზე გადასტომისას ფრთების მოშველიებაც შესძლოს.


იმ გალიას, რომელშიაც მიუჩვეველი ფრინველი ზის, პირველ ხანებში თეთრი ქსოვილი უნდა გადაფაროთ და თანდათან, მიჩვევის კვალსაზე, გაფუთავისუფლოთ თითო მხარე. სულ ბოლოს ქსოვილი ფანჯრის მხარეს უნდა ავაცალდოთ, რადგან დამფრთხალი ჩიტი სინათლისაკენ იწვევს და შეიძლება რაშე დაიზიანოს.

ფრინველები შიმშილობას ვერ იტანენ, ამიტომ მათი ნორმალური კვება ყოველი მოყვარულის მთავარი საზრუნავია. საკვები ხანაურში

მუდამ უნდა ეყაროს, მდგრადი ისეთი რაოდენობით, რაჩენები რაც შეიძლება ცოტა იყოს.

იმ ფრინველებს, რომლებიც მარცვლეულით იკვებებიან, აძლევენ ფეტვს, რაფსს, შვრიის ღერძილს, მწვანე სალათისა და სარეველა ბალახების თესლს. რაც შეეხება ზეთოვან საკვებს (მაგალითად, მწესუმწიკრას), იგი მცირე რაოდენობით უნდა ვაძლიოთ, რათა ფრინველი მეტისმეტად არ გაგვისუქდეს.

ფრთოსანს, რომელიც სიღიღით ჩიტბატონას არ აღემატე-



გალია თუთიყუშთაბინათვის

ბა, დღეში ერთი ჩაის კოვჩი საკვები ნარევი ჰყოფნის. მაგრამ გარდა მთავარი საკვებისა, ჩიტებს ვიტამინებიც სჭირდებათ. დროდღარო მათ უნდა ვაძლიოთ სალათის, სხვადასხვა მწვანილეულის, ბამბუაწვერას, სამყურას დაკეილი ფოთლები, აგრეთვე დანაკუწებული შვრიის, ხორბლის, მწესუმწიკრის ნორჩი ამონაყარი, გახეხილი სტაფილო და თაღამი. ბევრ ფრინველს უყვარს კენკრა. შაშვი, მაგალითად, ზოგიერთ კენკრის ნაყოფს მთლიანად უღაპავს, ჭივჭავი კი თესლს აცლის მათ.

შემდეგ შეხედვარაზე გაიამბობთ მშობლიური თუ ეგზოტიკური ფრინველების ზოგიერთ სახეობაზე, რომელთა მოვლა ხასიაზოვნოცაა და არც დიდ სიძნელებებთან არის დაკავშირებული.



კვლევა თამბაქოს გავრცელებაზე

მედიკალიზაცია

ამას წინათ ერთმა თხუთმეტობიანმა წლის ყმაწვილმა ქუჩაში გამაჩერა და სიგარეტი მთხოვა. როცა ვუპასუხე, არ ვეწვევი-მეთქი, გაკვირვებით შემომხედა. ალბათ, ვერ წარმოიდგინა, რომ შეიძლება არსებობდეს მამაკაცი, რომელიც არ ეწევა.

მთელი დღე იმ მოზარდზე ვფიქრობდი, მასზე და მის თანატოლებზე, რომლებიც უკვე ამ ასაკიდან იშხამავენ თამბაქოთი თავის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ ზრდადამთავრებულ ორგანიზმს.

მერე საკუთარი თავი დავტუქსე, რატომ არ ავუხსენი, რატომ არ განვუმარტე, როგორ საფრთხეში იგდებს ჯანმრთელობას-მეთქი. მით უმეტეს, რომ როგორც ადამიანი, მოქალაქე და ექიმი ვერასოდეს ვერ ვუყურებ გულგრილად იმას, რომ ჩვენი ახალგაზრდები საშუალო სკოლის მოსწავლეთა საგრძნობი ნაწილი ამჟამად სისტემატურად ეწევა თამბაქოს.

როდის და საიდან შემოვიდა ჩვენში თამბაქო?

მოგზაურობიდან ესპანეთში დაბრუნებულმა ქრისტეფორე კოლუმბომა, სხვა სიმდიდრესთან ერთად სამშობლოში ჩამოიტანა თამბაქოს თესლი და ფოთლები და ესპანელებს ასწავლა თუთუნის წევა. თამბაქოს წარმოება თავდაპირველად განვითარდა ესპანეთსა და პორტუგალიაში, შემდეგ კი ევროპის სხვა ქვეყნებსაც მოედო.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში, სიგარეტების შემოღებასთან დაკავშირებით, მწვეველთა რიცხვი სწრაფად გაიზარდა და ამჟამად მან ასტრონომიულ ციფრს მიაღწია. რაშია საქმე? მწვეველთა უმრავლესობამ იცის, რომ თამბაქო მავნებელია, მაგრამ მაინც ეწევა.

რატომ? რა განაპირობებს ამას?

გამოკითხულ პირთა უმრავლესობას არ ძალუძს ახსნას, თუ რატომ იშხამავს ორგანიზმს. მოზარდთა დაახლოებით 27% თამბაქოს ეწევა წაბაძვით ან იმ სურვილით, რომ ამხანაგების თვალში უფრო ასაკოვანი და თანამედროვე გამოჩნდეს, ვიდრე სინამდვილეშია. თავიდან, რა თქმა უნდა, ვერცერთი მწვეველი ვერ გრძნობს იმ უარყოფით გავლენას, რომელსაც თამბაქო ახდენს ორგანიზმზე. უფრო მეტიც, დასაწყისში სიგარეტი თითქოს სტიმულსაც კი აძლევს ორგანიზმს, აფხიზლებს ადამიანს, ზოგ შემთხვევაში უკარგავს შიშობილის გრძნობას. ნიკოტინის დამღუპველი გავლენა

ვლინდება 30-40 წლის ასაკში და იწვევს ისეთ შეუქცეველ მოვლენებს, რომლებიც თითქმის არ ემორჩილება მკურნალობას. ყველაზე უფრო მგრძნობიარეა თამბაქოსადმი ადამიანის ნერვული სისტემა. ადამიანი, რომელიც დიდი ხანია ეწევა, ადვილად იღლება, ღიზიანდება, უქვეითდება მხედველობა და სმენა, კარგავს ფერთა განსხვავების უნარს. ნიკოტინი აღიზიანებს ყელის, ხორხის, ბრონქების, ალვეოლების ლორწოვან გარსს, ვითარდება ქრონიკული ბრონქიტი. მწვეველები სისტემატურად იტანჯებიან სველისაგან, ზიანდება ხმოვანი იოგები. ფილტვებში თანდათანობით გროვდება თამბაქოს ნარჩენები და ქვეითდება მათი სავენტილაციო ფუნქცია. სტატისტიკურად დამტკიცებულია, რომ თამბაქოს მწვეველებში 15-30-ჯერ მეტია ფილტვების ათვისებისანი სიმსივნით დაავადების რიცხვი, ვიდრე არამწვეველებში. ასევე მრავალფეროვანია თამბაქოს მიერ გამოწვეული გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი. თამბაქოს მწვეველებს აჩქარებული აქვთ პულსი, მატულობს სისხლის წნევა, რაც თავის მხრივ ტვირთავს გულის კუნთს. ვიწროვდება სისხლძარღვები, ძნელდება სისხლის მიმოქცევა. ვითარდება ათეროსკლეროზი, რომელიც ორგანიზმის ადრეული დაბერების ერთ-ერთი მომასწავებელია. ყალიბდება გულის იშემიური დაავადება, რომელიც გუ-

ლის კუნთის ინფარქტის წინა პირობას წარმოადგენს. თუთუნის წევა განაპირობებს ისეთი მძიმე დაავადების წარმოქმნას, როგორცაა ე.წ. ხანგამოშვებითი კოჭლობა, რომელიც ხშირად მთავრდება ქვემო კიდურების განგრენით და მათი დაკარგვით.

დადგენილია, რომ თამბაქოს წევა ხშირად ხდება ტურჩებისა და ენის კიბოს მიზეზი. ნიკოტინი და თამბაქოში შემავალი სხვა ნივთიერებები მძიმე ზეგავლენას ახდენენ კუჭის და თორმეტგოჯანაწლავის ფუნქციებზე. მწვეველებს შორის ხშირია კუჭის კიბოს შემთხვევები.

განსაკუთრებით საშიშია თამბაქოს წევა მოზარდთათვის. ნიკოტინი აფერხებს ბავშვის ზრდას, აქვეითებს მენსიერებას, ათვისების უნარს, ზღუდავს ინტერესთა სფეროს, მოქმედებს სასქესო ჯირკვლებზე.

დამაფიქრებელია ისიც, რომ ამ ბოლო დროს თამბაქოს მწვეველთა შორის, სამწუხაროდ, საგრძნობლად იმატა ქალთა რიცხვმა. მოდას აყოლილ მეცხრე-მეთექვსმეტე გოგონებს ალბათ წარმოდგენაც არა აქვთ, რა საფრთხეში იგდებენ თავიანთ ჯანმრთელობას.

ხომ ფაქტია, რომ ყოველ მათგანს სურს სიმპათიურად, მომხიბლავად გამოიყურებოდეს, იმაზე კი არ ფიქრობს, რომ თამბაქო პირველ რიგში აფუჭებს სახის კანს, ის მალე ჭკნება და ყვითლდება. თამბაქოს

დიდურად იკითხა ალექსანდრემ,
მე მივიღებ ელჩებს.

ნამგზავრმა ელჩებმა დაიბანეს,
დაისვენეს და შეხვედრის დრო რომ
დადგა, უფლისწულმა ალექსანდრემ
ნამდვილი მეფური ღირსებით მიი-
ლო ისინი.

სპარსეთის მეფის ხანდაზმული
კარისკაცები და მრჩეველები ცბიერ
ლიმის ვერ ფარავდნენ. რაზე უნდა
ელაპარაკოს მათ ეს ყმაწვილი უფლ-
ისწული? რა თქმა უნდა ბავშვურ
ტიტინს მოისმენენ. მაგრამ არაფე-
რია, ფილიპეს მოლოდინში ტიტინის
მოსმენაც შეიძლება.

ალექსანდრე მამისეულ ტახტზე



ლუკოვ ვორონკოვა
მხატვარი ი. ბალანინი
ნაწყვეტები
წიგნიდან

ალექსანდრე და სპარსეთის ელჩები

ალექსანდრეს საუბროსა და ასაღბაჟრისა

იჯდა, ფეხები იატაკს ვერ უწვდებო-
და, მაგრამ მშვიდი და თავშეკავებუ-
ლი ჩანდა, თავი ღირსებით ეჭირა.

ერთხელ მაკედონიაში სპარსეთის
ელჩები ჩავიდნენ.

მთელი პელა გამოვიდა მათ სანა-
ხავად. სპარსელები ქედმაღლურად
ისხდნენ ცხენებზე, ოქროქსოვილით
მორთულ უნაგირებზე; თვალისმომ-
კრელად უელვარებდათ ძვირფასი
იარაღი, გრძელი მდიდრული სამოსი
— წითელი, მწვანე და ლურჯი ფე-
რებით შემკულ-აჭრელებული. ამ
ადამიანებს ყველაფერი უცხო და
უჩვეულო ჰქონდათ მაკედონელები-
სათვის. ყველაფერი საოცარი: ბრი-
ნჯაოსფერი, შავგვრემანი სახეები,
ინით შეღებილი წითური, ხუჭუჭა
წვერები, უცხო და უცნაური შავი
თვალები...

სამეფო სასახლეში ყველა შეშფო-
თებული იყო: ელჩები ჩამოვიდნენ,
მაგრამ ვინ მიიღებს მათ? მეფე ხომ,
როგორც თითქმის ყოველთვის, სა-
ლაშქროდ არის წასული.

— განა მე შინ არა ვარ? — მე-

ქერა, ლამაზი ყმაწვილი იყო. თვა-
ლებში შუქი ჩასდგომოდა. მღელვა-
რებისაგან შეფაკლულიყო. დიდი,
მოუხეშავი, მძიმე აღჭურვილი შავ-
გვრემანი ადამიანები ღიმილჩამდგა-
რი ილუმალებით მოცული შავი თვა-
ლებით ერთიმეორეს შეჰყურებდნენ,
და ელოდნენ რას ეტყოდა მათ ეს
ბავშვი.

— მე მინდა ყველაფერი ვიცოდე
თქვენს ქვეყანაზე, — თქვა ალექსან-
დრემ და მორკალური ქერა წარბები
ოდნავ მოკმუნხა — დიდია თქვენი
ქვეყანა?

ელჩებმა ერთიმეორეს გადახედეს.
რა გაეწყობა, ყმაწვილი სერიოზულ
კითხვას იძლევა, მამ პასუხიც სე-
რიოზული უნდა იყოს.

— ჩვენი ქვეყანა ძალიან დიდია,
— მიუგო წითელწვერა სქელმა სპა-
რსელმა, ელჩების უფროსმა — ფარ-
ნახმა. — ჩვენი საბრძანებელი გადა-
ქიმულია ეგვიპტიდან ტავრამდე და



ლექსანდრე სიყრმი-
დანვე საოცრად გონ-
იერი და თამამი,
ზრდილი და ჭკვიანი
ყმაწვილი იყო.

ერთხელ, როცა რვა წლისამ გაი-
გო, რომ მამამისმა ფილიპემ ოლინ-
თია დაიპყრო, თურმე, შეწუხებული
მივიდა თავის მეგობრებთან და შეს-
ჩიგლა:

— ვფიცავ ზევსს, მამა ყველაფრის
დაპყრობას მოასწრებს და ჩვენთვის
ალარაფერი დარჩება! როგორღა
უნდა მოვახდინოთ დიდი საგმირო
საქმეებიო.

ხმელთაშუა ზღვიდან ოკეანემდე, რომელიც მთელს დედამიწას გარს აკრავს. ჩვენს ძლევამოსილ მბრძანებელს მორჩილობს აუარებელი ქვეყანა და ხალხი. ქალაქებს ხომ სავალავი არა აქვთ. თვით ელინთა ქალაქებიც კი, რომლებიც აზიის სანაპიროზე არიან გაშენებული — მილეტი, ეფესო და ელინთა ყველა სხვა კოლონია ჩვენი დიდი ხელმწიფის მოხარკეა.

— კარგი გზებია თქვენს ქვეყანაში? თუ ასე დიდია, თქვენი სამეფო, გზებიც გრძელი უნდა იყოს! გაქვთ თუ არა ისეთი გზები, რომ კაცმა მთელი თქვენი ქვეყანა გადასეროს?

— ჩვენ გვაქვს კარგი გზა — სავაჭრო გზა, რომელიც ლიდის გავლით ინდოეთში ჩადის.

— რომელია თქვენი მთავარი ქალაქი? სად ცხოვრობს თქვენი მეფე?

— ჩვენს დიდ ხელმწიფეს სამი სატანტო ქალაქი აქვს. ზაფხულობით ეკატანაში ცხოვრობს, შემდეგ პერსეპოლისში გადადის — ეს ქალაქი ორასი წლის წინათ ააშენა ჩვენმა დიდმა მეფემ კიროსმა. ბოლოს ჩვენი დიდი ხელმწიფე ბაბილონში ჩადის. ეს ძალიან მდიდარი, ლამაზი და მხიარული ქალაქი ოდესღაც ჩვენმა ძლევამოსილმა მეფე კიროსმა ბაბილონელებს წაართვა.

— რომელი გზით შეიძლება თქვენს მეფესთან ეკატანაში ჩასვლა? ცხენით ჩადიან თუ აქლემებია საჯირო? გამიგონია, რომ თქვენ აქლემები გყავთ.

— თუ მაკედონიის მეფე ჩვენს დიდ მეფესთან სტუმრად მობრძანებას ინებებს, მას შეუძლია ცხენით ჩამოვიდეს. გზა პირდაპირი და ფართოა. ყველგან, გზის ორსავე მხარეს სამეფო სადგომებია — მშენიერი პატარა სასახლეები, სადაც ყველაფერია მოსასვენებლად: აუზები, საწოლები, სანადიმო დარბაზები. გზა დასახლებული ქვეყნის შუაგულში გადის და სრულიად უხიფათოა.

— თქვენი მეფე როგორია ომში? მამაცია?

— განა ლაჩარ მეფეს შეუძლია ამოდენა სახელმწიფოს მართვა?

— ჯარი დიდი გყავთ? როგორ

ომობთ? თქვენც თუ გაქვთ ფალანგები? ან ბალისტები და ტარანები?

აქ კი ცოტა დაიბნენ სპარსელები. მაკედონიის ნორჩმა მეფისწულმა ისინი ჩიხში მოაქცია. თვითონაც არ იცოდნენ, როგორ აღმოჩნდნენ სპარსეთის სამეფოს ჯაშუშების როლში.

ფარნახმა ბოლო კითხვაზე ორჭოფული პასუხი გასცა. სიტყვა შეამოკლა, ვეღარ გაიგებდით, სწორს ამბობდა თუ ტყუოდა. კილო მლიქვნელური ჰქონდა მაგრამ აზრი?

თურმე სპარსელები ძლიერ პატივს სცემდნენ მაკედონიის მეფეს. მაგრამ ოდესღაც მაკედონიის მეფეებიც სპარსეთის მეფეს ემსახურებოდნენ. ელჩს ბევრი რამ შეეძლო ეთქვა იმაზე, თუ როგორ ემსახურებოდა სპარსთა მეფე ქსერქსეს მაკედონიის მეფე ალექსანდრე, ამინტას ძე, როგორ მიდიოდნენ სპარსთა ჯარები მაკედონიის მიწა-წყალზე და გზა და გზა ახრებდნენ ქალაქებსა და სოფლებს, ანადგურებდნენ წყლისა და ხორბლის მარაგს. მდინარის წყალიც კი არ ჰყოფნიდათ, ფსკერამდე სვამდნენ. მაგრამ ფრთხილად, სიტყვას შერჩევა უნდა. მათ წინ გამოუცდელი ყმაწვილი კი არა ზის, რომ შეიძლებოდეს ყველაფერი უთხრან.

ფილიპე ნამდვილად ღირსეული სარდალია. ეუბნებოდნენ ერთმანეთს ელჩები, როცა ალექსანდრემ დასტოვა ისინი, — ხოლო მისი შვილი, ახლავე რომ ასეთ კითხვებს იძლევა, თითქოს ჩვენს დასაპყრობად ემზადებოდეს, რაღას არ ჩაიდენს, როცა გაიზრდება და მეფე გახდება!

პრისტოტელე

და

ალექსანდრე

ერთხელ ფილიპე მაკედონელმა თავის კარისკაცს ჰერმიოსს ჰკითხა: ხომ არავინ გეგულება ისეთი ღირსეული მასწავლებელი, რომ ალექსანდრეს აღმზრდელად მოვიწვიო სასახლეშიო.

— როგორ, არა — მიუგო ჰერ-

მოსმა. — ასეთი ღირსეული მასწავლებელი იქნება ჩემი მეგობარი და ნათესავი არისტოტელე.

— არისტოტელე? ჩვენ ხომ ერთად ვიზრდებოდით! მამამისი ოდესღაც მაკედონიაში ცხოვრობდა მამაჩემის სასახლეში. ის უმკველად კარგი მასწავლებელი და აღმზრდელი იქნება. უკვე გაგონილი მაქვს მისი სიბრძნის და განსწავლულობის ამბავი.

არისტოტელე მამინ ქალაქ მიტილენში ცხოვრობდა, კუნძულ ლესბოსზე. იქ ეახლნენ მას ფილიპეს წარგზავნილები და პელაში მიიწვიეს. არისტოტელე იმ დროს ზღვის ცხოველებს სწავლობდა, წიგნს წერდა მათზე და დრო არა ჰქონდა, მაგრამ რა გაეწყობოდა, მეფეს უარს ზომ ვერ ეტყოდა...

...დიდხანს უსხდნენ სუფრას ფილიპე და არისტოტელე, ბავშვობას იგონებდნენ. მეცნიერს თითებზე ძვირფასთვლებიანი ოქროს ბეჭდები უციმციმებდა. არისტოტელე მუდამ სუფთად და მდიდრულად იცვამდა.

— როგორ მოგაგონდი? — ჰკითხა მეფეს. — საბერძნეთში ხომ ბევრი ბრძენია. მაგალითად, დიდი მეცნიერი პლატონი. მე თვითონ ვაპირებდი მასთან მესწავლა, მაგრამ როცა ათენში ჩამოვედი, აღმოჩნდა, რომ იგი სიცილიაში წასულიყო.

— აჰ, პლატონი! — გაიცინა ფილიპემ. — ეს ის სწავლულია, რომელიც ამტიციებს, რომ ადამიანი ორფეხა და უფროთო ცხოველია, გამიგონია, დიოგენმა გაბუტული მამალი მიუტანა თურმე და უთხრა: „პლატონ, აი შენი ადამიანი!“

ორივეს გაეცინა. ბოლოს მეფემ ფილოსოფოსს უთხრა:

— ასე გადაწყვიტოთ! შეასწავლე ჩემს შვილს სხვადასხვა მეცნიერებები, როგორც მეფეს, ხოლო მოექცი უბრალო მონასავით, ასწავლერაც იცი. ქვეყნის მართვას კი მე თავად ვასწავლი.

არისტოტელემ ფილიპე იოლად დაარწმუნა, რომ სასახლის ხმაურში მეფისწულს ხელი შეეშლებოდა, და



რომ საჭირო იყო პელადან სადმე წასვლა.

ფილიპე დაეთანხმა. არც მას სიამოვნებდა, როცა მის ღრეობებს შვილი ესწრებოდა. შვილი და მასწავლებელი მახლობელ პატარა ქალაქ მიეზაში დაასახლა. აქ სრული მყუდროება იყო. მეგობრებითა და მსახურებით გარემოცული ალექსანდრე გულდასმით უსმენდა მასწავლებელს. სწავლობდა სიბრძნეს, მეცნიერებას, ორატორულ ხელოვნებას, გამოთქმას, სწავლობდა ასტრონომიას. მიწის აღწერილობას...

— ძველად ფიქრობდნენ, რომ დედამიწა ცასთანაა მიმაგრებული, — უხსნიდა მოწაფეებს არისტოტელე და თან ხეივანში დასეირნობდა. — დიდმა მეცნიერმა თალეს მილეტელმა თქვა, რომ დედამიწა ნაფოტივით დაცურავს წყალში.

— მართლა ასეა?

— არა, ასე არაა. დედამიწა ბურთია და ჰაერშია დაკიდული, არავითარი საყრდენი მას არა აქვს.

— გამოდის, რომ თალესი ცდებოდა? მაშ რაღა დიდი მეცნიერი ყოფილა?

— სჯეროდა ის, რასაც უწინ მეცნიერები იტყოდნენ. მაგრამ მან ახსნა დიდი საიდუმლო, რომ ოკეანე ყველაფრის მშობელია. მისმა მოწაფემ ანაქსიმანდრემ ეს დაადასტურა. მან თქვა, რომ ცხოველები წყალში გაჩნდნენ და ხმელეთზე გადმოვიდნენ, რომ თვითონ ადამიანიც თევზისნაირი არსებისაგან წარმოიშვა. დედამიწა რომ თავისუფლად ჰკიდია სივრცეში — ესეც თალესის მიგნებაა. გენიალური მიგნება, მან გაუხსნა გზა მეცნიერებას და ახლა ჩვენ ვიცით, რომ ეს ასეა.

— რატომ ფიქრობ, მასწავლებლო, რომ დედამიწა ბურთია? ის ხომ ბრტყელია?

— დიდი მეცნიერებიც დიდხანს ფიქრობდნენ, ალექსანდრე, რომ ის ბრტყელია.

— განა ასე არ არის?

— უდიდესი მეცნიერი ანაქსაგორე ფიქრობდა, რომ დედამიწა ჩაზნექილი დისკოა. ამისათვის ანაქსაგორე ათენიდან განდევნეს... ის ამბობდა,

რომ მთვარე — მეორე დედამიწაა, თავისი მთებით, ვაკეებით და მოსახლეობითაც კი, რომ ის შუქს მზისაგან იღებს. ამისათვის ოსტრაკიზმო არგუნეს.

— რატომ ფიქრობ, მასწავლებლო, რომ დედამიწა მრგვალია?

— დედამიწა რომ მრგვალია პირველად პითაგორე მიხვდა, — ხალისით მიუგო არისტოტელემ, რომელსაც სიამოვნებდა მოწაფის ცნობის მოყვარება. — პითაგორე იონიელია. ეს მხარე მდიდარია ბრძენკაცებით. პითაგორეს მიაჩნდა, რომ ბურთი და წრე სრულყოფილი ფიგურებია. ესე იგი, — ფიქრობდა ის, — დედამიწა მრგვალია და წრეში ბრუნავს. ამას გარდა ის ამბობდა, რომ დედამიწა ბრუნავს ცენტრალური ცეცხლის გარშემო, რადგან ცენტრი — ყველაზე უფრო ღირსეული ადგილია და ცეცხლი ყველაზე უფრო ღირსია, რომ ეს ადგილი ეჭიროს. ამიტომაც მეცნიერი ვარაუდობდა, რომ დედამიწა შემოუვლის ამ ცეცხლს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ერთი დღე-ღამის განმავლობაში, მზე კი ამ ცენტრს ერთი წლის განმავლობაში შემოუვლის.

— სადაა ეს ცეცხლი? რატომ ჩვენ ვერა ვხედავთ?

— პითაგორე ამბობდა, რომ ის ყოველთვის ჩვენი ბურთის მოპირდაპირე მხარესაა, მე კი ვამბობ, რომ ჩვენ მას ვერ ვხედავთ, რადგან ის არ არსებობს.

— მაშ როგორღა იცი, მასწავლებლო, რომ დედამიწა ბურთია?

არისტოტელემ მოწონების ნიშნად თავი დაუქნია:

— შენ შეგიძლია იბრძოლო და შენსას მიაღწიო, ალექსანდრე. მე ვნახე მთვარის დაბნელება. მთვარეზე დაცემული დედამიწის ჩრდილი მრგვალი იყო. ჭერჭერობით ეს ვიკმაროთ. დაისვენეთ, მეგობრებო.

— არა, არა, მასწავლებლო! — აჩქარებით შეაწყვეტინა ალექსანდრემ. შენ ხომ ჯერ არ გითქვამს, სად თავდება ოიკუმენა (მსოფლიო)?

ალექსანდრეს აინტერესებდა, ბევრი მიწა და სამეფო თუა ქვეყნადო.

არისტოტელემ პორტიკში შეიყვანა-

ნა. სამფეხა მაგიდაზე, ბრინჯაოს ბურთი და ბრინჯაოს დაფა ნახუნებისთვის. მეცნიერმა აიღო ბრინჯაოს დაფა, რომელზედაც დახაზული იყო დედამიწის რუქა, ოკეანე ხმელეთი, მდინარეები.

— ხედავ, ალექსანდრე? ეს რუკა გეოგრაფმა ჰეკატეოსმა გააკეთა. აგერ დედამიწა — ოიკუმენე. აი ელადა, ესეც მაკედონია. იქით ზღვა. ეს უზარმაზარი სივრცე კი — სპარსეთია.

— სპარსეთი... დიდი სპარსეთი. იქით რაა?

— იქით ინდოეთია.

— ინდოეთის იქით?

— ინდოეთს იქით, როგორც ხედავ, არაფერია, ოკეანეა. ამბობენ, ინდოეთში, ისევე როგორც ეგვიპტეში, სპილოებიაო. ეტყობა, ეს ორი ქვეყანა სადმე ერთმანეთს ესაზღვრება. მაგრამ ჰეკატეოსის ეს რუკა სრულყოფილი არ არის.

ალექსანდრემ დიდხანს უცქირა ბრინჯაოს რუქას, მერე ისევ მაგიდაზე დადო და შვებით ამოიოხრა.

— დედამიწა არც ისე დიდი და არც სამეფოებია მაინცდამაინც ხევრი, ყველა სამეფოს დავიპყრობ და მთელ დედამიწაზე იქნება ერთი სამეფო — ჩემი.

არისტოტელემ ყურადღებით შეხედა მოწაფეს. მის წინ იდგა ღონიერი, მაღალი, ლამაზი ჭაბუკი, ძლიერი ნებისყოფითა და შეუპოვარი სახით, გამჭრიახი თვალებითა და უდრეკი ნათელი გამოხედვით.

— შეიძლება, შეიძლება, — დაფიქრებით თქვა არისტოტელემ. — სპარსთა დამარცხება იმ ჯარებით, რომელიც მამაშენმა შექმნა, შეიძლება... მაგრამ მე ვფიქრობ, რომ აქედან კარგი არაფერი გამოვა.

ალექსანდრე გაჩუმდა. ამ საგანზე მას საკუთარი აზრი ჰქონდა და ამ აზრის შერყევა ქვეყნად აღარავის შეეძლო.

...მეორე დღეს ალექსანდრე ამ მყუდრო სავანეში ჰომეროსის „ილიადას“ კითხულობდა და საოცარი ბრძოლების ამბავს იხეპირებდა.

თარგმანი პაპაძე გელოვანმა






სიტყვას წარმოთქვამენ. მეორე ადგილი მეზღვაურებს უბირავთ. ისინი ნაპირზე ინაწლავურებენ იძულებით მღუმარებას შორეული ნაოსნობის პერიოდში, შესამე ადგილი უბირავთ მოზარდებს, რომლებიც დღეში სულ რაღაც 9000 სიტყვას წარმოთქვამენ. ასე, რომ ქალები საპროზო ადგილებს მიღმა დარჩნენ.

მეათეორიტი სასტუმრო ოთახში

ამერიკის კონექტიკუტის შტატის ქ. უედერფილდის ერთ-ერთი ვილის მობინადრენი სერიოზულად შეშინდნენ, როცა ნახევარკილოგრამიანა მეტეორიტმა მათი სასურავი და ჭერი ჩაანგრია და სასტუმრო ოთახში იატაკზე დავარდა. საბედნიეროდ, ვილის ბინადართაგან არავინ დაზარალდებულა.



305 არის უაღვი

აღმათ არ მოიძებნება ისეთი იუმორისტი, რომელსაც ერთხელ მაინც არ გაეცილოს ქალები სიტყვამრავლობის გამო. მაგრამ, როგორც გამოირკვა, საუკუნეთა განმავლობაში ქალებს სულ ტყუილად აბრალდებდნენ ამ ცოდვას, ჩეს სოციოლოგებს კი არ დაზარებიათ იმის გამოთვლა, თუ ვინ რამდენ სიტყვას წარმოთქვამს. აღმოჩნდა, რომ ყბედობაში ჩემპიონები 5-10 წლის ბავშვები ყოფილან. მათ სულაც არ ადარდებთ, ჰყავთ თუ არა მსხენელი, მშვენივრად ესაუბრებიან საკუთარ ოავს და დღეში დაახლოებით 14 ათას

2. შავინანი — ისტორიის საგამოცდო ბილეთი (მოთხრობა) გარეკ. 2
 5. ხარაზიშვილი — ღონე ქვეყნისა და კაცისათვის (ნარკვევი) 2
 3. გელაშვილი — მამა; სიყვარული აგვამალღებს (მოთხრობები) 5
 2. კარგარეთელი — სკოლა მთაში (წერილი) 10
 2. ჩახავა — მოხუცი შანდორი (მოთხრობა) 12
 2. შეთეაური — შენ ხალხის გულში ჰაბუკი დარჩი (ლექსი) 17
 11. გველესიანი — მამულის საგალობელი ლექსი) 17
 აი ს ი 18
 ბუნების კარი 20
 1. ტოლსტიკოვი — ყინულზე (მოთხრობა) 20
 2. სიღამონიძე — ივანე კოტორაშვილის გმირობა (წერილი) 24
 კოცონი 26
 1. ანდრევი — ჩვენი ფრთოსანი მეგობრები (წერილი) 27
 1. გამყრელიძე — ცვლავ თამბაქოს მავნებლობაზე (წერილი) 28
 11. ვორონკოვა — ალექსანდრეს ბავშვობა და ახალგაზრდობა (ნაწყვეტი წიგნიდან) 29
 ჯადოსნური სარკე 32
 ცხრაკლიტული გარეკ. 3
 ფოკუსის მიღმა გარეკ. 3

გარეკანის 1-ლ გვერდზე „შვლის ნუკრის ნაამბობი“. მხატვარი იოსებ სამსონაძე.

მთავარი რედაქტორი ბაბუღია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუზარ აფხაზაძე, ზურაბ გოცვაძე, ავთანდილ გურამიძე, დოდო ვადაშვილი, ბიორბი ქლიპაძე, რობერტ ლარიგაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამყრინანი (პ/მგ. მღვიანო), ლიანა შფირიული, ზურაბ ჯვარიკაშვილი, ზურაბ ბუშბუჩიძე.

საქართველოს კ კვ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 98-97-05, 98-81-81, პ. მგ. მღვიანის—98-97-03, 98-53-05, განყოფილებების—98-97-02, 98-97-01- გადაეცა ახაწყობად 22. 02 84 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17. IV — 84 წ. ქალაქის ფორმატი 60×90¹/₃. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. 459 ტირაჟი 157 400 ეგვ., უე 07927.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Формат 60×90¹/₃, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35. Тираж 157.400 экз. Цена 20 коп.

კვლავ თაგბაქოს მავნებლობაზე

მწვევლებს მალე უყვითლდებათ კბილები, ესლიჩებათ ხმა. დამეთანხმებით, რომ ასეთი ქალიშვილი ვაჟის სიმპათიას ვერ დაიმსახურებს. რაც მთავარია, გოგონებს უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი მომავალი დედები არიან, და მათ ორგანიზმში დაგროვილი ნიკოტინი ზიანს მიაყენებს მათი მომავალი შვილების ჯანმრთელობას.

დასკვნა ერთადერთია: სიგარეტის წევა მავნებელია. მაგრამ თუ უკვე ვეწევი? თუ უკვე ვაგინჩნდა ეს მავნე ჩევევა? აქ საკითხი უფრო რთულად დგას, რადგან სიგარეტს ერევიან სუსტი ნებისყოფის მერყევი ხასიათის პიროვნებები. ასეთებისათვის კი ძნელია, იოლად დაძლიონ ეს მავნე ჩევევა. რა თქმა უნდა, სჯობს სიგარეტს თავი დაუანებოთ უცებ, მაგრამ თუ ეს ვერ შეგძელით, უნდა მივმართოთ ექიმსპეციალისტს. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი მოწეული სიგარეტი ერთი-ორი საათით ამცირებს სიცოცხლის ხანგრძლივობას. მას მავნებლობა მოაქვს არა მარტო მწვეველისათვის, არამედ მის გარშემო მყოფთათვის და, რაც არსებითია, შთამომავლობისათვის.

დასკვნა ერთადერთია: სიგარეტის წევა მავნებელია. მაგრამ თუ უკვე ვეწევი? თუ უკვე ვაგინჩნდა ეს მავნე ჩევევა? აქ საკითხი უფრო რთულად დგას, რადგან სიგარეტს ერევიან სუსტი ნებისყოფის მერყევი ხასიათის პიროვნებები. ასეთებისათვის კი ძნელია, იოლად დაძლიონ ეს მავნე ჩევევა. რა თქმა უნდა, სჯობს სიგარეტს თავი დაუანებოთ უცებ, მაგრამ თუ ეს ვერ შეგძელით, უნდა მივმართოთ ექიმსპეციალისტს. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი მოწეული სიგარეტი ერთი-ორი საათით ამცირებს სიცოცხლის ხანგრძლივობას. მას მავნებლობა მოაქვს არა მარტო მწვეველისათვის, არამედ მის გარშემო მყოფთათვის და, რაც არსებითია, შთამომავლობისათვის.

ბაბაი ბამბრალიძე, რესპუბლიკური ნარკოლოგიური კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი.




ს ა რ მ ს მ რ დ ი

მარაზულად: 5. სახელმწიფო დაწესებულება; 6. პუ-

ღბა ქართული რაიონში; 24. მაერში ასაშვები სათამაშო მოწყობილობა.

შევეულად: 1. წინასწარ დაპროგრამებული ოპერაციების შემსრულებელი მანქანა; 2. მოქმედი ვულკანი სიცილიაზე; 3. სითხის საცავი დაზღუდული დიდი ქურქელი; 4.



რეულნი მცენარე; 9. ქიმიური ელემენტის უცივრები ნაწილაკი; 11. თოთხმეტკეპიანი ლეკბი; 12. რუსეთის მდინარე; 15. ვ. ტაბიძის ლექსი; 17. სამოქალაქო ომის გმირი; 18. ინგლისელი ზღვაოსანი; 19. წყლის საღებავებით დაზატული სურათი ახალშეღვილი კედელზე, ქერზე; 20. კვერთხი, ანუ? 24. ატმოსფეროს ელექტრობის განმუხტვა დელამიწაზე; 25. ბოსტნეული; 26. გაზი; 29. საქართველოს კურორტი; 30. მოტოველოსიპედი; 31. ტროპიკული ხე; 33.

იტალიის ქალაქი; 7. ბრაზილიელი ფეხბურთელი; 8. სპორტული თამაში; 10. ველოდრომი; 13. საზეიმო წესებზე; 14. საქართველოს ქალაქი; 16. ინგლისური სიგარეტის სახომი ერთეული; 18. აფრიკის სახელმწიფო; 21. მოსწავლის მაგიდა სკოლაში; 22. კონტინენტი; 23. მაღაროდის სამხატვრო მუზეუმი; 27. რისამე მხარი; 28. ბურთის გასაკრავი ჭოხი; 31. სამშენებლო მასალა; 32. ძვირფასი ლითონი.

შეადგინა
დ. ქარდოგანიძემ

გამოცანები

სულეირიც, უსულოც ყველა მისი შვილია, ალაგ — ზურმუხტისფერი, ალაგ — თეთრად შლილია. აქვს საუნჯე უთვლელი, გული უცემს ვარვარა, ბრუნავს, მიჰქრის, ამშვენებს ვარსკვლავებს ამაღა.

იგი ღარივით სწორია, მრულე არახდროს გვინახავს, დაბერით ვედარ დაბერ, შენახვით ვერ შეინახავ; აქვს სითოცა და სინათლაც, თვალსჩინივით გვერდებია; დაფიქრდი, მისი სახელი მითხარ, ნუ გავირდებია.

ალ. ნამოროძე

კანონი № 3-ში მოთავსებულ „სხრაქლიშულზე“


ს ა რ მ ს მ რ დ ი

მარაზულად: 1. მალამო; 4. მაკარი; 9. რეგენტი; 10. ხურმა; 12. აორტა; 13. ალაო; 18. ტარი; 17. კართავენი; 18. იორი; 20. ფენა; 21. მავრიკია; 22. ხალმონტი; 24. როქი; 26. აფრა; 28. ანტიპოპია, 29. აირი; 30. შარა; 33. ტიტრი; 38. ირანი; 37. ოციტერი; 38. ირინია; 39. გიტარა.

შევეულად: 1. მავა; 2. ლენა; 3. შაია; 5. არია; 6. არხი; 7. იორდანე; 8. ფარდანი; 9. „რეალი“; 11. ანანახი; 14. ჭაბუკიანი; 15. ანთოლოგია; 19. იარაღი; 20 ფლორა; 21. შერქანი; 23. სოპოტი; 25. ქარქაში; 27. ამაგი; 31. ანება; 32. ლობი; 33. ტონი; 34. იოდ; 35. შინა.

გამოცანები
მშვილდ-ისარი,
ფითრი, ნიორი.

მწიგნუნი



$$\begin{array}{r} 1 \times 2 = 2 \\ + 5 \\ \hline 7 \\ \times 50 \\ \hline 350 \\ + 3 \\ \hline 353 \\ - 250 \\ \hline 103 \end{array}$$

— თუ გსურთ, რომელიმე თქვენგანის დაბადების დღე გამოვიცნო, სცენაზე ამოზრდანილი! — მიმართავ მეფოკუსე მყურებელთა დარბაზს. — გამარჯვლეთ 2-ზე თქვენი დაბადების დღის აღმნიშვნელი რიცხვი, — სთავაზობს იგი სცენაზე ამოსულს, — შემდეგ მიუმატეთ 5, ჭამი კი 50-ზე გადაამრავლეთ, ახლა მიუმატეთ რიცხვითი რიცხვი იმ თვისა, როცა დაიბადეთ და მიზარით მღებულ რიცხვი.

მეფოკუსე მამონე ზუსტად ასახვლებს მყურებლის დაბადების დღესა და თვეს.

როგორ გამოვიცნო? საქმე ისაა, რომ იმ რიცხვს, რომელიც მყურებელმა დაასახელა, უნდა გამოაკლო 250. მიიღება სამნიშნა ან ოთხნიშნა რიცხვი. პირველი ერთი ან ორი ციფრი დაბადების დღს, ხოლო ორი ბოლო თვეს აღნიშნავს.

ნახატი ა. ზანარიისა მეილ კიო

149/64



გივი კვარაცხელიძე



მხატვრის
ღიმილი

